სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 14 მარტი 2008 №057 (3281) ფასი 50 თეთრი

ტოპმიოლერის მესმის

ინტერვიუ გიორგი შაშიაშვილთან

3

ნასულ-მოსული კაცის ამბავი

ბოლოს და ბოლოს, რას აპირებს რობერტო მანჩინი

8



პასების ასი

კოტე ტუღუშის სამმაგი დუბლი

13

ქართული შტურმი შტურმს

მაკარიძე და ორი უცნობი

ნაკრების მეკარე და დინამო კი იქით კითხულობენ

სანამ ცქიტიშვილის ფურცელი ჩამოვა, დარასელია ჩამოვიდა

ლოკომოტივი ძველ სახელებს აგროვებს



შტურმი სამ ქართველს უყურებს

სიაში ერთ-ერთი გიორგი მაკარიძეა

ბადრი კეთილაძის ფოტო

გრაციის „შტურმი“ სამი ქართველი ფეხბურთელითაა დაინტერესებული და, სავარაუდოდ, ერთ მათგანს მაინც შეიძენს ზაფხულში — ეს „შტურმის“ მცველმა გიორგი შაშიაშვილმა გვითხრა, თუმც გვარები არ დაასახელა, ამის თქმა ჯერ ნაადრევიაო.

ერთ-ერთი ავსტრიული ვებგვერდიდან კი შევიტყვეთ, რომ გრაცელთა სასურველ სამეულში გიორგი მაკარიძეცაა. 17 წლის მეკარე ამჟამად თბილისის „დინამოს“ საკუთრებაა, „დინამო 2“-ში ვარჯიშობს, თუმცა თამაში არ უწევს.

„სიმართლე გითხრათ, „შტურმის“ ამბავი პირველად მესმის. „დინამოს“ ვეკუთვნი და ნოემბერში მიმთავრდება კონტრაქტი, მანამდე კი, არა მგონია, სადმე გამიშვან, „დინამო 2“-ში მხოლოდ ვვარჯიშობ, რადგან არ მთამაშებენ“ — გვითხრა მაკარიძემ.

„დინამოში“ კი გვითხრეს, რომ „შტურმიდან“ მაკარიძის თაობაზე ჯერჯერობით არავინ დაგვკავშირებიაო...

ილია ნანობაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ლოკომოტივის ახალი სახელი: დარასელია!

თბილისის „ლოკომოტივმა“ მეორე წრეში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეიმატა — მათ შორის, რატი ალექსიძე, რომელიც რამდენიმე წელი საერთოდ ჩამოშორებული იყო ფეხბურთს.

„ლოკომოტივშია“ ლევან ცქიტიშვილიც და კლუბში დღე-დღეზე ელიან ბერძნული „პანიონიოსიდან“ სატრანსფერო ფურცელს — ლევანი ბოლოს სწორედ ამ გუნდში ირიცხებოდა.

გიორგი კიკნაძის გუნდში კიდევ არის ერთი საინტერესო სიახლე: გუნდთან ერთად ვარჯიშობს ვიტალი დარასელია.

როგორც „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ გვითხრა, რაღაც საკითხებია მოსაგვარებელიო და, სავარაუდოდ, დარასელია სეზონს თბილისურ გუნდში ჩაამთავრებს.

ნუკრი ლოლაძე

კობა შალამბერიძე: ამერს ყოველთვის მოგება სურს!

ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „ამერი“ ნელ-ნელა ფორმაში შედის. ბოლო კვირაში „ყვითლებმა“ ორი პრინციპული მატჩი ჩაატარეს — ჩემპიონატში რუსთავის „ოლიმპს“ 2:1 სძლიეს, ხოლო საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში ჭიათურის „მაღაროელი“ 4:0 დაამარცხეს. ორივე შეხვედრაში თითო გოლით გამოირჩა „ამერის“ ნახევარმცველი კობა შალამბერიძე, რომელიც გუშინ რედაქციაში ვისტუმრეთ...

— ქუთაისელი ხარ და ფეხბურთის თამაშიც ალბათ იქ დაიწყე...

— რვა წლის ვიყავი, ფეხბურთზე რომ შევედი. ჩემი პირველი მწვრთნელი მამუკა ჯავახაძე იყო და მისი დიდად მადლიერი ვარ.

— შემდეგ როგორ განვითარდა შენი კარიერა?

— 15 წლის ვიყავი, როცა ოჯახთან ერთად თბილისში გადმოვედი და თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში დავიწყე ვარჯიში. 16-წლამდელთა ნაკრებშიც ვიყავი გამოძახებული, ბალტიისპირეთში მივდიოდით პალანგის ტურნირზე, მაგრამ, სამწუხაროდ, წასვლამდე ერთი კვირით ადრე ვარჯიშზე მუხლის უმძიმესი ტრავმა მივიღე და ამის გამო ერთი წელი გამიცდა. შემდეგ თბილისის „დინამოში 3“-ში ვიყავი და გია გეგუჩაძემ „დინამო 2“-ში გადამიყვანა. მერე იყო თბილისის „სპარტაკი“, სადაც, სხვათა შორის, თენგიზ ჩიკვილაძე და დიმიტრი ტატანაშვილი იყვნენ. ერთხანს ისევ „დინამოში“ დავბრუნდი, თუმც გეგუჩაძე გაუშვეს და მეც წამოვედი. ვთამაშობდი აგარის „მეშაქრეში“, ქუთაისის „ტორპედოში“, წინა სეზონში „ბათუმში“ ვიყავი, ახლა კი „ამერში“ ვარ.

— „ამერში“ პირველ წრეში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდი. გუნდთან შეწყობა გაგიჭირდა?

— გაჭირვებით იმდენად არა, უფრო ტრავმებმა გამაწამა — სულ რაღაც მტკიოდა. ფეხბურთელისთვის ყველაზე დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი ხშირი ტრავმიანობაა. ახლა კი, ღვთის მადლით, ჯანზე ვარ და აღარაფერი მაწუხებს.

— „ამერმა“ პირველი წრე არასტაბილურად ჩაატარა. როგორ ფიქრობ, ეს რისი ბრალი იყო?

— უეფას თასზე პოლონურ „ბელხატუვთან“ მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ და ძალიან დასანანად გამოვვარდით, რამაც გუნდზე ცუდად იმოქმედა... შემდეგ პირველივე ტურში „ლოკომოტივთან“ დავმარცხდით... აი, ამ ორმა ფეხის დაცდენამ დიდი გავლენა იქონია ჩვენს თამაშზე.

— გორის „დილასთან“, „ოლიმპთან“ და „მაღაროელთან“ ზედიზედ მოგებებით, შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი საბოლოოდ დამარცხდა?

— ყოველ შემთხვევაში, გუნდში ახლა მშვენიერი ატმოსფეროა და სერიოზულად ვემზადებით მომდევნო თამაშებისთვის.

— „ამერს“ ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, აღარ დარჩა, თუმცა თასის ნახევარფინალში ხართ და ალბათ მთავარი მიზანიც თასის აღება იქნება...

— რა თქმა უნდა, თუმცა არც ჩემპიონატის მატჩებში ვაპირებთ ძალის დაზოგვას. „ამერს“ ნებისმიერი მატჩის მოგება სურს და ასე იქნება ყოველთვის!

ნუკრი ლოლაძე

დღეს გელაშვილი ვარჯიშს იწყებს

იანვარში თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ „ზესტაფონში“ გადასული ეროვნული ნაკრების ფორვარდი ნიკა გელაშვილი თურქულ შეკრებაზე მძიმედ რომ დაშავდა, „სარბიელის“ მკითხველს ეცოდინება.

მას შემდეგ ტრავმირებული გელაშვილი ეროვნული ჩემპიონატის და თასის თამაშებს არ აცდენს.

ნიკამ გუშინწინ „ზესტაფონი“ — „ოლიმპსაც“ (1:0) ადევნა თვალყური, დღეიდან კი თემურ მახარაძის გუნდს ვარჯიშებზეც შეუერთდება, თუმც, როგორც გვითხრა, ორი კვირა ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს და ამის შემდეგ შეეძლება ფიზიკური დატვირთვის მიღება.

ნუკრი ლოლაძე

პროფლიგა თასს 18-ში დაკენჭავს

გუშინწინ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ეზბეგის“ გათამაშების ოთხივე ნახევარფინალისტი გაირკვა — „დინამო“, „ბორჯომი“, „ზესტაფონი“ და „ამერი“.

ცხადია, ახლა ყველაზე საინტერესოა, როგორ დაწყვილდებიან ეს გუნდები ნახევარფინალში.

ამ ყველაფერს 18 მარტს შევიტყობთ — წილისყრა პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში 14 საათზე დაიწყება.

ნუკრი ლოლაძე

ხუთი ქართველი სამეულს უმიზნებს

ხუთი ქართველის სომხური „განძასარი“ საკონტროლო მატჩში „შირაქს“ შეხვდა და 2:1 მოუგო. ერთი ბურთი გაგა თბილაშვილმა გაიტანა. მის გარდა, ახალწვეულებმა გიორგი კობახიძემ, დავით ხანიშვილმა და მამუკა მენთესაშვილმა ითამაშეს. მანუჩარ კვიციანმა კი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

მატჩის შემდეგ „განძასარის“ მწვრთნელმა სამველ პეტროსიანმა თქვა: „ქართველები გუნდისთვის ხაჭირო ფეხბურთელები არიან. „შირაქთან“ კარგად ითამაშა მეკარე კობახიძემ, არ მომეწონა ხანიშვილი და ამიტომაც შევცვალე. კვიციანს ტრავმა აქვს. მილანობაში კი მათი თამაშით კმაყოფილი ვარ“.

პეტროსიანმა ისიც აღნიშნა, რომ ამ შემადგენლობით გუნდს საძეულში მოხვედრა შეუძლია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

უეფას თასი 2007-2008

მერვეფინალი. საპასუხო მატჩები

ვერდერი (გერმანია) 1:0 *რეინჯერსი (შოტლანდია)* (0:2)
1:0 დიეგო (58)

სპორტინგი (პორტუგალია) 1:0 **ბოლტონი** (ინგლისი) (1:1)
1:0 პერეირინია (85)

ინგლისი

ჩემპიონშიპი. XXXVIII ტური

სტივენეიჯი 2:1 კიდერმინსტერი

ფინეთი

ლიგის თასი. I ჯგუფი. V ტური

მიუპა 1:2 კუოპიო

სარბიელელები თანავუგრძნობთ ჩვენს
თანამშრომელს ირაკლი ფირაშვილს
ბაბუის
გარდაცვალების გამო

მენთეშაშვილი და კითხვის ნიშანი

ლიტვურმა „ვენტსპილსმა“ „ბალტიის თასის“ გათამაშება კი დაიწყო, მაგრამ მომდევნო მატჩამდე ორკვირიანი პაუზა აქვს და ისევ თურქეთს მიაშურა, სადაც კიდევ ერთ შეკრებას გაიკლის.

გუნდთან ერთადაა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი, რომელმაც წინა შეკრების და „ბალტიის ლიგის“ მატჩები ტრავმის გამო გამოტოვა. ამის გამო მენთეშაშვილი კლაუს ტოპმიოლერმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩისთვისაც არ იხმო.

„ვენტსპილსი“ თურქეთში ოთხ საკონტროლო მატჩს გეგმავს. ითამაშებს თუ არა მენთეშაშვილი, უცნობია, თუმც გუნდთან ერთად კი ივარჯიშებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

უგოლო 176

„ბალტიის თასის“ გათამაშებაში კიდევ ორი ქართველი ჩაება — დავით გამეზარდაშვილი და ვლადიმერ დვალიშვილი.

ჩვენებურთა „სკონტო“ ესტონურ „ლევადიას“ ესტუმრა და 3:1 დაამარცხა. ორივე ქართველი სასტარტოში იყო — გამეზარდაშვილმა 90 წუთი ითამაშა, დვალიშვილმა კი — 4 წუთით ნაკლები.

„ბალტიის თასის“ გათამაშებაში „სკონტოს“ განაცხადში არ ჰყავს ზაალ ელიავა.

ვეცოდინებათ, მას კლუბის გამოცვლა სურს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლევან ლაცუზბაია: ABKHAZ SSR

იაროსლავლის „შინიკში“ ასეთი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს — ლევან ლაცუზბაია.

მისი მონაცემები ასეა წარდგენილი: 1988, ABKHAZ SSR.

საინტერესო და ცოტა მრუდე ფაქტია. საინტერესო იმიტომ, რომ რუსულ პრემიერლიგაში აფხაზეთიდანაც გამოჩნდნენ ფეხბურთელები და მეორე იმიტომ, რომ აფხაზეთი უკვე ოფიციალურად უწერიათ. თუმც ასეთი შემთხვევები ცოტა არ არის — რუსები მომენტს თუ ჩაიგდებენ ხელში, მაშინვე...

ილია ნანოგაშვილი

გიორგი შაშიაშვილი: ტოპიოლერის მესმის

ავსტრიაში ყველაფერი მაკმაყოფილებს, მაგრამ...

არც ლიტვასთან ნოემბერში და არც ლატვიასთან თებერვალში, გიორგი შაშიაშვილს ეროვნულ ნაკრები არ უთამაშია, თუმც გამოძახებული გახლდათ. კლაუს ტოპმიოლერმა 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ჯახისთვისაც იხმო ავსტრიული „შტურმის“ ფეხბურთელი, რომელიც, მართალია, ამპლუით ცენტრალური მცველია, მაგრამ მარცხენა მცველად უფრო ხშირად უწევს ნაკრებში ბურთაობა — აკი, თბილისში იტალიას ლამაზი გოლიც გაუტანა. შაშიაშვილის კლუბმა ავსტრიული მაქსბუნდესლიგის მეორე წრე საშინლად დაიწყო: ლიდერი გახლდათ და ახლა უკვე მეხუთე ადგილზეა...

შტურმი ხელმეორე შტურმს აპირებს

— წლეულს ჩემპიონატის ხუთი თამაშიდან ოთხი წავაგეთ და ერთი მოვიგეთ, ლიდერს უკვე 8 ქულით ჩამოვრჩებით. ამაზე უარესს ვერც წარმოვიდგენდით, თუმცა ზეგ „რიდს“ თუ მოვუგებთ, სამეულში გასვლის შანსს მაინც დავიტოვებთ — გვითხრა გიორგიმ, რომელსაც ავსტრიაში დავუკავშირდით.

— რატომ გქონდათ ასეთი ცუდი სტარტი?

— ალბათ, ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალიცაა. ზამთარი ლიდერებად ჩავამთავრეთ და გვეგონა, კლასის ხარჯზე გავაგრძელებდით მოგებებს. უფრო სერიოზული მიზეზი კი ისაა, რომ ზაფხულში ხუთ წამყვან ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება და არ აგრძელებენ, წასვლაზე ფიქრობენ. ამან ცოტა დაძაბა ურთიერთობა.

— ფინანსურად ნორმალური მდგომარეობაა „შტურმში“?

— ამ მხრივ პრობლემა არ არის. უბრალოდ, არ უნდოდათ ამ ფეხბურთელებს „შტურმში“ გაჩერება.

— შენც ხომ არ ფიქრობ წასვლას?

— არა. აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს, თუმცა თუ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა... აქაურ გაზეთებში ეწერა, შაშიაშვილით რამდენიმე გუნდია დაინტერესებულიო, მათ შორის ავსტრიულები და გერმანული ბუნდესლიგებისო. მე არ წამიკითხავს, თანაგუნდელებმა მითხრეს. ზაფხულამდე დროა, მერე ავწონ-დავწონი, მიღირს თუ არა წასვლა.

— კერძოდ, რომელ გუნდებზეა ლაპარაკი?

— არ ღირს სათქმელად. მე მგონი, ჯერ მხოლოდ ლაპარაკია და მეტი არაფერი, პირადად არავინ დამკავშირებია.

— ბოლო ტურში „რაპიდთან“ რატომ არ ითამაშე?

— ოდნავ მაწუხებდა ფეხი. თამაში კი შემეძლო, მაგრამ მწვრთნელმა მაინც ამჯობინა ჩემი დასვენება. ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა.

— „შტურმს“ თუ აღარ მივათვლით, ავსტრიის ჩემპიონობისთვის ოთხი გუნდი იბრძვის და თითქმის თანაბარი ქულები აქვთ. ფავორიტად ვინ მიგაჩნია?

— უფრო „ზალცბურგი“ და „რაპიდი“. სეზონის აღმოჩენა კი „ლინცერია“. „შტურმი“ არ არის მათზე ბევრად სუსტი, უბრალოდ, ამ ხუთტურიანმა ჩავარდნამ ძალიან დაგვწია უკან.

— რუსეთი, უკრაინა და ავსტრია — ამ სამ უცხოურ ჩემპიონატში გითამაშია და ავსტრია პირველი ორისგან რით განსხვავდება?

— აქ უფრო ტაქტიკურად თამაშობენ, გერმანული ბუნდესლიგის გავლენა იგრძნობა. უკრაინასა და რუსეთში კი უფრო ფიზიკას აქცევდნენ ყურადღებას — განსაკუთრებით, ეს უკრაინაში იგრძნობოდა. დონით კი რუსეთის პრემიერლიგა უკეთესია, იქ ისეთ ფეხბურთელებს ყიდულობენ, მალე, ალბათ, გერმანიასაც დაეწევიან.

— ახლა ნაკრებზეც: ჩრდილოეთ ირლანდიასთან სათამაშოდ გამოგიძახეს...

— მომივიდა მოწვევა და ახლა ბრიტანეთის ვიზა უნდა ავიღო.

— ნაკრების ბოლო ორ მატჩიც იყავი გამოძახებული, თუმც არ გათამაშეს, რაზეც ნაწყენი დარჩი. იმედი გაქვს, რომ ტოპმიოლერი ბელფასტში გენდობა?

— რატომაც არა?! მთავარია, ვარჯიშებზე კარგად გამოვიყურებოდე. ლატვიასთან 0:3 ვაგებდით, მერე კახა კალაძემ რომ გაიტანა, სხვა თამაში წავიდა, უპირატესობა ჩვენი იყო და მესმის მწვრთნელის, რომ მცველის შეყვანისგან თავი შეიკავა.

ილია ნანოგაშვილი

ლომიძემ კაპიტანს მოუგო

გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ შერიფელთა კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი მოლდოვის ნემპიონატის მთავარ დერბად „შერიფი“ — „ზიმბრუს“ ჯახს მიიჩნევდა, ჰოდა, ეს მატჩიც შედგა.

„შერიფმა“ მოულოდნელად წააგო მამუკა ლომიძის „ზიმბრუსთან“. თარხნიშვილმა სრულად ითამაშა, ვალტერ ხორგუაშვილი კი 74-ე წუთზე შევიდა მოედანზე. ასევე სრულად გაისარჯა ლომიძეც.

ამ წაგებით „შერიფსა“ და მის უახლოეს კონკურენტს, ჯაბა დვალის და ლევან კორღალიძის „დაჩიას“ შორის სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა და საჩემპიონო დავა კიდევ უფრო გამძაფრდა.

„ზიმბრუ“ კი მეოთხე ადგილზეა და ქულით ჩამორჩება „ნისტრუს“.

საინტერესოა, რომ ზიმბრუელთა მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში მოლდოველი ქართველები ყველა სინჯის მედალს დააგემოვნებენ — „შერიფს“ და „დაჩიას“ პირველ-მეორე ადგილებისთვის ბრძოლაში ვერავინ შეეცილებათ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართველებმა ნომრები ჩამოირიგეს

ნალჩიკის „სპარტაკმა“ ახალი სეზონისთვის განაცხადი უკვე შეიტანა და, ბუნებრივია, სამივე ქართველი — ალექსანდრე ამისულაშვილი, გოგიტა გოგუა და დავით სირაძე — სიაშია.

კლუბმა ქართველ ფეხბურთელებს მუდმივი ნომრებიც ჩამოურიგა: ამისულაშვილი შარშან 28-ნომრიანი მაისურით თამაშობდა, წლეულს კი 5 ნომერი ეცმევა. გოგუას 7 ნომერი შეხვდა, რომელიც 2006 წლის ნალჩიკურ სეზონშიც ეცვა. სირაძე კი, ნაკრების მსგავსად, 43-ნომრიან მაისურას მოირგებს.

დაინომრნენ ყაზანის „რუბინის“ ქართველებიც: ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე, ტრადიციულად, 29 და 9-ნომრიანი მასურებით ითამაშებენ, ახალწვეული დავით კვირკველია კი — 27-ით.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თქვენი ინტერვიუ

ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. ჰკითხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ბუბა დოლიძეს ფოტო

კვარაცხელიამ თქვა და... წავიდა

რუსთაველზე შიმშილობას ვიწყებ

„არის 30 000 000 ლარი“, თუმც, სად არის, საკითხავი ესაა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ მამუკა კვარაცხელიას განცხადებით, სწორედ ეს თანხა აქვს დახარჯული სფფ-ს ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობისას, შედეგი კი არ ჩანს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე კვარაცხელიას კიდევ ორი ლოზუნგი ჰქონდა — „ახალკაცი/STOPმიოლერი“ და „ფანდარასტ!“ ამ ლოზუნგებში საკვირველი და ახალი არაფერია, კვარაცხელიას მსგავსი სხვა დროსაც ჰქონია, გასაკვირი ის იყო, რითაც პრესკონფერენცია დაინყო...

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრებს შეკახსენებ: ნუ მისცემენ ხმას არამწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერის ნაკრების თავკაცად დანიშვნას, მე კი პრესკონფერენციის დასრულებისთანავე რუსთაველის გამზირზე მივდივარ და შიმშილობას ვიწყებ“ — განაცხადა კვარაცხელიამ.

შიმშილობის მიზეზი, როგორც თავად ახსნა, არც ფეხბურთია და არც პოლიტიკა...

„უბრალოდ, მინდა დავდგე იქ, სადაც ქართველი ხალხია. 20 წლის წინაც ვშიმშილობდი და კარგი ფეხი მაქვს. ალბათ ახლაც ასე იქნება“.

ამის შემდეგ კვარაცხელიამ ტოპმიოლერისა და მისი გუნდის მუშაობაზე, აგრეთვე ფედერაციის საქმიანობასა და თბილისისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციების საპრეზიდენტო არჩევნებზე ისაუბრა...

„კლაუს ტოპმიოლერის შეცდომები შვიდ ფურცელზე არ დაეტია. საკმარისი არ არის?! მე ქართულ ფეხბურთზე შემტკივა გული, თანაც სხვებზე მეტად. ვისაც არ სჯერა, შემიძლია, პირდაპირ ეთერში დავუჯდე და ვესაუბრო...

...ტოპმიოლერს საქართველოში ჩამოსვლაზე პირველად აგენტი აკატონია ესაუბრა და მისი ხელფასი მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო, თუმც ფედერაცია პირდაპირ ხაზზე გავიდა და 3 მილიონი დოლარი შესთავაზა. ცხადია, საქმე ფულის გაყოფაზე მიდიოდა. ამიტომ, ტოპმიოლერმა თავისი ხალხის ჩამოყვანა მოითხოვა. მათ შორის, თავისი ძმის, რომელიც მწვრთნელი არ ასდროს ყოფილა...

...ტოპმიოლერის წინამორბედი ალენ ჟირესი კი ნაკრებიდან იმიტომ დაითხოვეს, გუნდი მეორე ადგილზე ვერ გაიყვანაო. ტოპმიოლერის ნაჩვენები შედეგი კი მთელმა ქვეყანამ ნახა და იცის...

...სფფ-ის „მუშაობის“ ბოლო აკორდი ქუთაისი იყო. „ტორპედოს“ მოკვეთით ქართულ ფეხბურთს მოკვეთეს თავი. თუ ქვეყანაში პრინციპული დერბი არ არის, შეგნებულად ქმნიან. „დინამო“ — „ტორპედოს“ დაპირისპირება ქართული ფეხბურთის მშვენება იყო...

...ახლა საპრეზიდენტო ბრძოლას აზრი არ აქვს, რადგან მოიგებს ის, ვინც სახელმწიფოს სურს. ამის მიზეზი „აწყობილი“ სტრუქტურაა — 13 რეგიონული ფედერაციისა და 8 საბიუჯეტო კლუბის ხმები ყოველთვის მათი იქნება...

...რაც შეეხება თბილისის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებს, ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ამ სტრუქტურის, კიდევ ერთი ხმა, ისევე, როგორც ახლახან შექმნილი სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია და პირველი ლიგის 20 გუნდის ერთი ხმა, რომელიც პროფესიული ფეხბურთის ლიგას ეკუთვნის...

...თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მამუკა კვარაცხელიას არჩევას ამ ეტაპზე ოლიმპიური ჩემპიონის გელა კეტაშვილის არჩევა სჯობს, ამიტომ, თუ სასწაული არ მოხდა, 99 პროცენტით კეტაშვილი იქნება კანდიდატი, ის ერთპროცენტიანი მარქაფი კი — კვარაცხელია. დიდ პატივს ვცემ კიდევ ერთ კანდიდატ გრიგოლ ცაავას, რომელიც, მართლაც, კარგი პიროვნებაა, მაგრამ ჩანს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევისას მასთან დაპირისპირება მომიწევს...“

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს 19 ჩემპიონატი

პირველი ლიგა

II წრე. 17 ტურები

აღმოსავლეთი

კახეთი 1:1 მეშაძრე

1:0 ძამუკაშვილი (17), 1:1 კობახიძე (33)

კახეთი: მარგოშვილი, გ. ლომიძე, ბედოიძე, მურველაშვილი (ტარუღაშვილი 78), კევლიშვილი, შ. ლობჟანიძე, ჩუთლაშვილი, კუპრაშვილი, რ. ტეტიაშვილი (ლ. ტეტიაშვილი 80), ძამუკაშვილი, ბიძინაშვილი (დ. ბურდული 73)

სათადარიგონი: ზარქუა, აბდულაევი, მელიქიშვილი, გ. ოთარაშვილი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

მეშაძრე: აბრამიშვილი, გვარუციძე, ლ. ტყებუჩავა, დონდოლაძე, გ. თარგამაძე, გაგნიძე (კავთელაძე 46), გ. ლაცაბიძე, ფაილოძე (ახობაძე 65), მ. ლობჟანიძე, ლ. კობახიძე (ჩიხლაძე 84), ებანოძე

სათადარიგონი: პ. ოთარაშვილი, ბ. გოცირიძე, ობგაიძე, ლ. მანწკავა

მწვთრნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: გვარუციძე

მსაჯი: ლ. სილაგავა

300 მაყურებელი

ჩიხურა 0:0 გაგრა

ჩიხურა: მწყერაშვილი, ხურცილავა, ბარაბაძე (მაჭარაშვილი 62), ვ. ზაბახიძე, ზ. ნოზაძე, ჭილლაძე (ი. ზაბახიძე 67), დოლონაძე, ზივზივაძე, როგავა (გულიაშვილი 82), ლ. ჩიკვაიძე, ენუქიძე

სათადარიგონი: ბეგაშვილი, ცარციძე, ხვედელიძე, ივანიშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაგრა: ბათიაშვილი, ქაჯაია, ქვრივიშვილი, ტეტუნაშვილი, თოთაძე, ცხადაია, ჩარგეიშვილი, შარიქაძე (კორიფაძე 73), აფციაური (ზ. დათუნაშვილი 56), ბ. ყიფიანი (ზ. ძაგანია 56), ა. აბაშიძე

სათადარიგონი: ხომერიკი, ე. ფილია, ჩოჩია, ლ. სეთურიძე

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: ზივზივაძე, დოლონაძე, ჩარგეიშვილი, თოთაძე

მსაჯი: ო. ხეცაძე

400 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 2 2:0 ნ. დინ-მერანი 2

1:0 ჯიქიძე (65), 2:0 როსტიაშვილი (88)

ვიტ ჯორჯია 2: ღურბელეიშვილი, პირველი, ადამაძე, ყველაშვილი, კაიშაური, ინჯგია (ჯიქიძე 46), კვაღინიძე, ვასაძე, გ. ჯანელიძე, ვეკუა, ბ. ცხადაძე (როსტიაშვილი 79)

სათადარიგონი: სორდია, გამრეკლიძე, ღანიაშვილი, იოსელიანი, ეზიეშვილი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

ნ. დინამო-მერანი 2: გლუნჩაძე (აფრიდონაძე 52), მ. ქავთარაძე, გ. თავბერიძე, ტოსტიაშვილი, ფირანიშვილი (კაკულია 79), ბაკურაძე, იაგო დეისაძე (ხვთისავრიშვილი 59), გავაშელი, ი. ქავთარაძე, ხუჭუა, ფურთუხია

სათადარიგონი: ჩიტალაძე, გურჩიანი, ა. შენგელია, ჯორჯიკია

მწვრთნელი: ოთარ შენგელია

გაფრთხილება: ფირანიშვილი, ჯანელიძე, ფურთუხია, ხუჭუა, კაიშაური, ვასაძე

მსაჯი: ზ. ასკაროლლი

50 000 მაყურებელი

დინამო 2 1:0 ამერი 2

1:0 კაჭკაჭიშვილი (51)

დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, გ. ოთარაშვილი, გ. ჩიკვაიძე, მამუჩიშვილი, ფირცხალავა (შერაზადიშვილი 46; ტეტუნაშვილი 72), ჯიშკარიანი, სიხარულიძე, ქანთარია (ჭადაშვილი 78)

სათადარიგონი: გ.. ნადირაძე, ლ. ლონლაძე, გ. ჯოხაძე, გ. კიკნაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

ამერი 2: ქვაჩახია, სანიკიძე, გვაძაბია, ხატიაშვილი, კეკელია, ცხოვრებაშვილი (ბოჯგუა 68), სიჭინავა, ხუციძე, სილაგავა, გრძელიძე (ხელაძე 46), ჩიმაკაძე (ნ. ქებაძე 62)

სათადარიგონი: გვენცაძე, ჩოხელი, ზ. დოლიძე, ხარაძე

მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილება: ხელაძე, შერაზადიშვილი, ჯიშკარიანი, სიხარულიძე

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

50 მაყურებელი

ოლიმპიკი 1:5 ოლიმპი 2

0:1 სებისკვერაძე (25), 0:2 ტორონჯაძე (37), 0:3 სებისკვერაძე (40), 0:4 ტორონჯაძე (57), 0:5 სებისკვერაძე (61), 1:5 შონია (75)

ოლიმპიკი: დაუშვილი, ბებუა, გ. ალავიძე, ბელთაძე (აბრალავა 46), როსტომაშვილი (ფურცელაძე 46; გოგიაშვილი 74), მაისურაძე, ღვინიაშვილი, ქამუშაძე, გ. იაშვილი, გ. ოქრუაშვილი, შონია

სათადარიგონი: კეკელიძე, ჯინჭარაძე, ლაბარტყავა

მწვრთნელი: ლევან მელიქია

ოლიმპი 2: გ. გიორგობიანი, სარაჯიშვილი, პაჭკორია, ოდიშარია, გ. რეხვიაშვილი, გურეშიძე (მახარაშვილი 76), გუგუჩია, ზვიადაძე, ჯაში (ლაფერაშვილი 66), სებისკვერაძე (ი. დევდარიანი 73), ტორონჯაძე

სათადარიგონი: გალდავა, გავაშელიშვილი, ჭაფოძე, სულუხია

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: ლაფერაშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

100 მაყურებელი

გაგრა	17	10	5	2	37:26	35
დინამო 2	17	10	4	3	28:14	34
ვიტ ჯორჯია 2	17	8	4	5	26:15	28
მეშაქრე	16	8	4	4	25:17	28
ჩიხურა	17	7	5	5	26:23	26
ოლიმპი 2	17	7	4	6	25:19	25
ყახეთი	17	6	4	7	27:27	22
ამერი 2	16	6	2	8	27:29	20
ოლიმპიკი	17	3	3	11	22:37	12
ნ.დინ-მერანი 2	17	0	3	14	16:52	3

XVIII ტური

15 მარტი, შაბათი

გაგრა – ყახეთი

16 მარტი, კვირა

ნ.დინ-მერანი 2 – ოლიმპიკი

17 მარტი, ორშაბათი

ოლიმპი 2 – დინამო 2

ამერი 2 – ჩიხურა

მეშაქრე – ვიტ ჯორჯია 2

დასავლეთი

მაღაროელი 1:0 ხობი

1:0 ხაჭიპერაძე (55)

მაღაროელი: მამარდაშვილი, მგელაძე, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ეგაძე, ჩხარტიშვილი, გ. ილურიძე, გამცემლიძე, სევასტოპულო (მ. სამხარაძე 70), ხაჭიპერაძე, მდივნიშვილი (სეფერთელაძე 80)

სათადარიგონი: ბადურაშვილი, ტყებუჩავა, ბიბილაშვილი, მიშველიძე, ცუცქირიძე

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

ხობი: ხარძეიშვილი, ა. კვირკველია, ფარფალია, დ. ჭითანავა, გ. გოგენია, ი. კუტალია (ალანია 52), ლეფსაია (სართანია 46), კ. გოგენია, პაპავა, ბ. გვეტაძე, ღლონტი (გაგუა 46)

სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, ჯამბურია, გ. ლომაია, წულაია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: ხაჭიპერაძე, ჩხარტიშვილი, გოგენია, ხარძეიშვილი

გაძევება: ეგაძე (66), სართანია (66)

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

100 მაყურებელი

სამტრედია 2:2 მარტვილი

1:0 კრავეიშვილი (103), 1:1, 1:2 ულენტი (15, 18), 2:2 ბოხუა (76)

სამტრედია: თ. კაკალაძე, თელია, კვესეიშვილი, გუბელაძე, გვიჩია (ბოხუა 53), გ. რუხაძე (რაზმაძე 41), ჩომახიძე, ეცადეიშვილი, ა. ივეჩიანი, კრავეიშვილი, ბაკარანძე

სათადარიგონი: ხურციძე, მამულაშვილი, ნინუა, ადეიშვილი, გიორგაძე

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

მარტვილი: ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, კვიტატიანი, კ. ძაგანია, აქუბარდია, გოგუა, წოწორია, ტ. ულენტი (ცაგარეიშვილი 79), ლ. ჩალაძე (უგლავა 73), ბეგოიძე (ციცხვაია 60), მუმლაძე

სათადარიგონი: ტორაძე, ო. რუხაძე, ძიძიგური, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ფვანია

გაფრთხილება: გ. რუხაძე, ლ. ძაგანია, კ. ძაგანია, გოგუა, ბეგოიძე

მსაჯი: ი. ურუშაძე

500 მაყურებელი

ზესტაფონი 2 2:1 მეშახტე

1:0 ხიდეშელი (21), 2:0 ჯანელიძე (40), 2:1 ავალიშვილი (48პ)

ზესტაფონი 2: ჯალაღონია, ხუმარაშვილი, შ. ღონღლაძე, აკუასაგა, ბენაშვილი (ნ. კვასხვაძე 46), ხიდეშელი (სოფრომაძე 46), საცერაძე, გელაჭეიშვილი, ჟონატასი (შარანგია 73), გორგიაშვილი, დ. ჯანელიძე

სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, ბერუაშვილი, სურმავა, გაბრიჩიძე

მწვრთნელი: მალხაზ ღონღლაძე

მეშახტე: მერკვილიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, დონაძე, წერეთელი (ა. ყურაშვილი 46), ჯიშიაშვილი, მაჩაიძე, ხაჩიძე, ჩუბინიძე (თევზაძე 89), მერკვილაძე (ცქიფურიშვილი 65), გოგბერაშვილი, ავალიშვილი

სათადარიგო: თ. გიორგაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ჯანელიძე, ჟონატასი, ჩუბინიძე, ხიდეშელი

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

150 მაყურებელი

უნივერსიტეტი 2:1 ტორპედო

1:0, 2:0 ბარილაძე (74, 77), 2:1 ქათამაძე (83)

უნივერსიტეტი: მეფარიშვილი (ჯუჭუხიძე 46), ტორაძე, წიქორიძე, დარჯანია, შველიძე, მორჩილაძე (ქორიძე 46), ბასილაია, ბარილაძე, ქაშიბაძე, ა. სულაქველიძე, ბოდოკია (დვალიშვილი 75)

სათადარიგონი: კ. ჯანელიძე, კვირიკაშვილი, მინდაძე, კუბლაშვილი

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, ი. დარსაძე, ა. მესხი, დათიაშვილი, ჭანკვეტაძე სანთელაძე, სირაძე, თვალავაძე, გოგიბერაშვილი (კაპანაძე 46), ლ. ჯოხაძე, ქათამაძე

სათადარიგონი: ვ. ვაჩიბერაძე, მეტონიძე, კირკიტაძე, კეჭეყმაძე, კილაძე

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

გაფრთხილება: დათიაშვილი, ქაშიბაძე

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

100 მაყურებელი

გადადებული მატჩი

ზესტაფონი 2 3:0 ტორპედო

1:0 ხიდეშელი (34), 2:0 ჯანელიძე (38), 3:0 ბენაშვილი (54)

ზესტაფონი 2: ჯალაღონია, სურმავა (გაბრიჭიძე 80), შარანგია, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი, ხიდეშელი (ბერუაშვილი 58), საცერაძე, ბენაშვილი (სოფრომაძე 65), ჟონატასი, გორგიაშვილი, დ. ჯანელიძე

სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, ი. ნებიერიძე, ბერძენაძე, ა. ნებიერიძე

მწვრთნელი: მალხაზ ღონღლაძე

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, გაბუნია (სირაძე 46), ვ. ვაჩიბერაძე, დათიაშვილი, ლურსმანაშვილი, მეტონიძე (ქათამაძე 46), თვალავაძე, ჭანკვეტაძე, გოდერიძე, კეჭეყმაძე (სანთელაძე 72), კირკიტაძე

სათადარიგონი: ოდიშარია, ა. ძესხი, ლ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

გაფრთხილება: საცერაძე, გაბუნია, კირკიტაძე, გელაჭეიშვილი, გოდერიძე

მსაჯი: თ. გვანცელაძე

100 მაყურებელი

მაღაროელი	17	15	2	0	39:11	47
მარტვილი	17	8	4	5	23:16	28
მეშახტე	16	9	0	7	28:27	27
ზესტაფონი 2	16	8	2	6	26:16	26
ყოლხეთი	17	7	5	5	23:19	26
ტორპედო	17	7	4	6	27:24	25
ხობი	17	5	5	7	20:22	20
უნივერსიტეტი	16	5	3	8	13:17	18
სამტრედია	16	2	3	11	16:37	9
ფაზისი	17	2	2	13	17:43	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

XVIII ტური

15 მარტი, შაბათი

მეშახტე – მაღაროელი

16 მარტი, კვირა

ხობი – სამტრედია

მარტვილი – ყოლხეთი

ფაზისი – უნივერსიტეტი

17 მარტი, ორშაბათი

ტორპედო – ზესტაფონი 2

უეფას თასი 2007-2008. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ზენიტი (რუსეთი) 2:0 **მარსელი** (საფრანგეთი) (1:3)
1:0, 2:0 პოგრებნიაკი (39, 78)

ჰამბურგი (გერმანია) 3:2 **ლევერკუზენი** (გერმანია) (0:1)
0:1 ბარბარესი (18), 1:1 ტროხოვსკი (53), 1:2 გეკასი (55), 2:2 გერერო (64), 3:2 ვან დერ ვაარტი (80)

ბაიერნი (გერმანია) 1:2 **ანდერლეხტი** (ბელგია) (5:0)
1:0 ლუსიო (9), 1:1 სერპათი (20), 1:2 იაკოვენკო (35)

ევერტონი (ინგლისი) 2:0დ.დ. (პენ.2:4) **ფიორენტინა** (იტალია) (0:2)
1:0 ე. ჯონსონი (16), 2:0 არტეტა (67)

პსვ (ჰოლანდია) 0:1დ.დ. (პენ.6:5) **ტოტენჰემი** (ინგლისი) (1:0)
0:1 ბერბატოვი (81)

ხეტაფე (ესპანეთი) 1:0 **बენფიკა** (პორტუგალია) (2:1)
1:0 ალბინი (78)

მაიმუნები ტრიბუნაზე

„ბაიერნმა“ ამ სეზონში შინ პირველად წააგო. ამის „ავტორი“ კი „ანდერლეხტია“, რომელიც ერთი კვირის წინ ბრიუსელში 0:5 დამარცხდა და მიუნხენში შელახული ღირსება აღიდგინა.

ოტმარ ჰიცფელდმა ვან ბუიტენი, დემიკელისი, შვაინშტაიგერი და ტონი საერთოდ არ ათამაშა. რიბერი, შლაუდრაფი და ჰამით ალთინთოფი მეორე ტაიმში შეუშვა, მაგრამ წაგებას მაინც ვერ ასცდა.

მასპინძლები ლუსიოს გოლით დაწინაურდნენ, რომელმაც სოსას ჩაწოდებულს თავი დაჰკრა, სტუმრებმა კი მალე ორით უპასუხეს. „ბაიერნი“ ბურთის გორებით გაერთო, იაკოვენკომ ჩაჭრა, სერჰათ აქინს მიაწოდა და თურქმაც გაიტანა. ამის მერე თვითონ იაკოვენკომ იყოჩაღა, შორიდან გაისროლა და მიხაელ რენზინგი უმანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმში რიბერის და შლაუდრაფს შეეძლოთ გატანა, თუმც შეცვლაზე შესულმა ბელგიელთა მეკარემ დავი შოლენმა არ დაანება.

„ევერტონს“ და „ტოტენჰემს“ პენალტებში ვარჯიში მოუწევთ, რადგან ორივე თერთმეტმეტრიანების სერიამ „იმსხვერპლა“.

ფანების მხარდაჭერით შეგულიანებულმა „ევერტონმა“ თავიდანვე შტურმი მოუწყო „ფიორენტინას“, რომლის მეკარეც მე-16 წუთზე შეცდა და გოლიც მიიღო. სებასტიან ფრეიმ ბურთი ენდრიუ ჯონსონისკენ მოიგერია, ფორვარდმა კი მკერდით შეაგდო.

ფრეი მეორე ტაიმშიც ახტუნავეს და 66-ე წუთზე მიკელ არტეტამ 25 მეტრიდან გაუტანა. ამის მერე ფრანგმა მეკარემ ორჯერ იხსნა კარი, ხოლო დამატებულ ნახევარ საათში ჯამპაოლო პაცინის ორი კარგი მომენტი ჰქონდა.

პენალტებში ხუთ დარტყმამდე საქმე არ მივიდა, რადგან სტუმრებმა ოთხივე გამოიყენეს, მასპინძელთაგან კი იაკუბამ ძელს გაარტყა (მეორე) და ფრეიმ მეოთხე იაგიელკას აუღო.

ერთი კვირის წინ პსვ-სთან შინ 0:1-ის წაგების შემდეგ, „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა თქვა, საპასუხო მატჩში უკეთესად ვიმუშავებთო და სიტყვა შეასრულა. დიმიტარ ბერბატოვმა პასკალ შიმბონდას პასით 81-ე წუთზე გაიტანა და ორი მატჩის ჯამში გაათანაბრა.

პენალტებში გუნდებმა ხუთ-ხუთი დაარტყეს და მეკარეებმა თითო-თითო მოიგერიეს. რობინსონმა ლაზოვიჩს (მეორე) აუღო, გომესმა — ჯენასს (მეხუთე). ბაკალიმ და ზოკორამ ამის მერე გაიტანეს, მასპინძელმა მარსელისმაც შეაგდო, ხოლო შიმბონდამ, რომლის პასმაც საქმე პენალტებამდე მიიყვანა, კარს აცილა.

„უეფას თასი „სევილიაში“ ორჯერ მოვიგე და თერთმეტმეტრიანების სერიაში არასოდეს წამეგო. მით უფრო გულდასაწყვეტია ჩემთვის ეს მარცხი“ — თქვა „ტოტენჰემის“ თავკაცმა ხუანდე რამოსმა.

„მარსელმა“ მეოექვსმეტეფინალიდან მოსკოვის „სპარტაკი“ გაიტანა. გრამ მეორე რუსული ბრიგადა — „ზენიტი“ — ვერარ გადალახა სანქტპეტერბურგელებმა ბუსკოდან [illegible] გაიტანეს, რამდენიც ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალში გასასვლელად სჭირდებოდათ. პაველ [illegible] ორჯერ გაუგდა მეკარეს [illegible] და მანდანდას შანსი არ [illegible]

მარსელელმა რონალდ [illegible] ნამატჩევს განაცხადა, რომ [illegible] ფანების ჯგუფმა ისინი [illegible] შეძახილებით შეურაცხყოფ[illegible] ბუნდან ბანანებს ესროდ[illegible] მაიმუნის ხმას გამოსცემდნ[illegible]

ბუნდესლიგის მესამე („ჰამბურგი“) და მეოთხეადგილოსანი („ლევერკუზენი“) გუნდების ჯახი მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ სტუმრად ვაუბედეს ორი გოლის წყალობით „ლევერკუზენი“ მეოთხედფინალში გაეგზავნა. „ჰამბურგი“ ორჯერ აგებდა [illegible] ხოვსკისა და გერერის წყალობით გაათანაბრა. ამით [illegible] ზედურებმა ბოლოს [illegible] ტიეს, რასაც ვან დერ ვაარტის [illegible] ლი მოჰყვა, თუმც მეოთხეც [illegible] ბოდათ და საამისოდ დრო [illegible]

ესპანეთის დროშას კი უეფას თასს შემორჩენილი ერთადერთი [illegible] ვიზიონელი „ხეტაფე“ [illegible] ნერის დებიუტანტმა [illegible] რა, რომ თვით „ბენფიკა“ [illegible] დაამარცხა და მეოთხედფინალს [illegible]

ვაჟა ხუციშვილი

ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი

ალკმაარი 0:1 ფეიენოორდი
0:1 დე გუსმანი (19)

პსვ	27	18	5	4	57:22	59
აიაქსი	27	15	8	4	74:37	53
ფეიენოორდი	28	15	6	7	50:30	51
გრონინგენი	28	15	5	8	50:44	50
ბრედა	28	15	5	8	36:32	50
ჰერენვენი	28	14	6	8	71:35	48
ტვენტე	28	12	10	6	41:27	46
როდა	28	11	9	8	47:44	42
ვიტესი	28	11	6	11	36:44	39
უტრეხტი	28	11	5	12	52:48	38
ნაიმეგენი	28	9	6	13	37:46	33
ალკმაარი	28	8	7	13	39:47	31
ჰერაკლესი	28	8	6	14	32:54	30
სპარტა	28	7	6	15	41:62	27
გრაფშხაპი	28	7	5	16	30:55	26
ვენლო	28	6	8	14	35:61	26
ტილბურგი	28	6	6	16	30:36	24
ექსელსიორი	28	6	5	17	29:63	23

ჩილე

აპერტურა. X ტური

კობრელოა — ატლეტიკო 1, პალესტინო — უჩიპტო 1, ენგ კონსეპსიონი — ენგ დე ჩილე 1, მელიპილია — დეპ კონსეპსიონი 3, ოსორნო — უდეკა იტალიანო 1, ენიონ ქასნილა — ეკვერტონი 2, კოლო კოლო — ო ჰიგინსი 1, ლა სერენა — კობრელოა 1

შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

სელტიკი 0:0 დანდი იუნ.

ჰიბერნიანი 1:0 მოზერუელი
1:0 ნიში (52)

რეინჯერსი	27	22	2	3	67:20	68
სელტიკი	28	20	5	3	66:19	65
დანდი იუნ.	30	13	7	10	43:34	46
მოზერუელი	28	14	4	10	39:33	46
ჰიბერნიანი	29	12	8	9	42:35	44
ფოლკირკი	29	10	7	12	38:42	37
ჰარტსი	29	10	6	13	40:47	36
აბერდინი	29	9	7	13	33:48	34
ინვერნესი	29	10	3	16	35:48	33
კილმარნოკი	29	7	7	15	30:43	28
სენტ მირენი	27	7	6	14	18:44	27
გრეტნა	28	4	4	20	28:66	16

ლიბერტადორესის თასი 2008

III ჯგუფი. III ტური

ატლასი 3:0 მარაკაიბო
1:0 სერანო (41), 2:0 აჩუკარო (61), 3:0 მარიონი (67)

ატლასი (მექსიკა)	3	2	0	1	6:3	6
ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	2	1	1	0	4:1	4
კოლო კოლო (ჩილე)	2	1	0	1	3:4	3
მარაკაიბო (ვენესუელა)	3	0	1	2	2:7	1

V ჯგუფი. III ტური

უნივერსიდად კათოლიკა 1:2 რივერ პლეიტი
0:1 აბრეუ (44), 1:1 გუტიერესი (47), 1:2 როსალესი (88)

რივერ პლეიტი (არგენტინა)	3	2	0	1	4:4	6
სან მარტინი (პერუ)	2	1	0	1	2:1	3
ამერიკა (მექსიკა)	2	1	0	1	3:3	3
უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)	3	1	0	2	3:4	3

VIII ჯგუფი. III ტური

არსენალი 0:1 ლიგა დე კიტო
0:1 ურუტია (79)

ლიგა დე კიტო (ეკვადორი)	3	2	1	0	3:0	7
ფლუმინენსე (ბრაზილია)	2	1	1	0	6:0	4
არსენალი (არგენტინა)	3	1	0	2	1:7	3
ლიბერტადი (პარაგვაი)	2	0	0	2	0:3	0

კაპიტანმა ხომალდი სხვებზე ადრე დატოვა

ხუან ბაუტისტა სოლერმა „ვალენსია“ დატოვა. ბოლო ჟამს გუნდის მიერ ნაჩვენებმა ცუდმა შედეგებმა, ინჩასთა მრისხანებამ და მწვრთნელის, რონალდ კუმანის უსუსურობამ „მესტალიადან“ ჰოლანდიელი დამრიგებლის წასვლაზე ადრე (იქაური მედიის ვარაუდით, კუმანის ვალენსიელობას დიდი ღელ არ უწერია) პრეზიდენტის გადადგომა გამოიწვია. „სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო არ შემიძლია, კლუბს ძველებურად სათანადო ყურადღება მივაქციო. ამის გამო თანამდებობას ვტოვებ“ — განუცხადა სენიორ სოლერმა ჟურნალისტებს. დიახ, არა კრიზისი, არა მორყეული ფინანსები, არამედ ავადმყოფობა — ოფიციალურად, სოლერის გადადგომის მიზეზი გაუარესებული ჯანმრთელობაა. აწ უკვე ექსპრეზიდენტი მედიასთან ამტკიცებდა, რომ ბოლო 100 დღის განმავლობაში „ვალენსიას“ შინიდან გამოუსვლელად, სავარძელს მიჯაჭვული მართავდა, რაც, სოლერის აზრით, ნორმალური მოვლენა არ გახლდათ...

„ღამურათა“ კლუბს ამიერიდან აგუსტინ მორერა უხელმძღვანელებს. ესპანეთში ამბობენ, რომ ეს ცვლილება „მესტალიაზე“ დიდ გარდატეხას არ მოასწავებს — მორერა ხომ სოლერის უახლოესი მეგობარი და მისი სტრატეგიული კურსის ერთგული მიმდევარია. ანუ ბატონმა სოლერმა გაგადგომის შემდეგაც, „ვალენსიას“ თავკაცად, პრაქტიკულად, ისევ საკუთარი პერსონა უზრუნველყო, თუმც, რაც მოხდება, ამას დრო გვიჩვენებს...

ტრანსპორტის მაგნატ მორერას ვალენსიური კორონაცია საკმაოდ უფერულად მოხდა. „რა უნდა გითხრათ, ჩემთვის ეს საკმაოდ სევდიანი დღეა, თავს მთავარ გმირად სულაც არ ვგრძნობ და ჩემი მეგობრის, ხუან ბაუტისტას ბედი მაწუხებს“ — განუცხადა მედიას ახალმა პრეზიდენტმა. სხვათა შორის, სოლერმა გათავაკცებულ მეგობართან არც სურათის გადაღება მოისურვა და აგუსტინ მორერას პრესასთან წარდგენასაც არ დაესწრო... აი, ასე უცნაურად დატოვა „მესტალია“ კაცმა, რომელმაც 2004 წელს ბრწყინვალე „ვალენსია“ ჩაიბარა, გუნდი, რომელიც მაშინ პრიმერადივიზიონისა ჩემპიონი და უეფას თასის მფლობელი გახლდათ და ევროპის სუპერთასიც ჰქონდა მოგებული. სოლერის პრეზიდენტობისას ვალენსიელები გამარჯვებაზე მეტად მარცხს დაეჩვევნენ და ახლა რამე იქნებ სევდიანი მორერას ხელში ეშველოთ...

პირნეებზე ხუან ბაუტისტა სოლერს გასაჭირის დროს მწვრთნელების ზურგს უკან ამოფარებას აბრალებდნენ ხოლმე. ასე მოხდა კიკე სანჩეს ფლორესის შემთხვევაშიც, როცა „ვალენსიას“ უიღბლობით გაცოფებული ფანები სწორედ კლუბის მაღალ ეშელონებში ცვლილებებს მოითხოვდნენ, ბაუტისტამ კი „მესტალიადან“ კიკე დაითხოვა — „ღამურათა“ ჩავარდნა სწორედ [illegible] ბლის ბრალია. მედია სოლერის [illegible] ზიდენტობიდან მისი გადადგომის [illegible] ობაზე მაშინაც ეკითხებოდა, [illegible] ხად კი მაღალყარდოვან ფრაზებს [illegible] ლებდა, დახლოებით ამდაგვარს: „[illegible] პიტანი ხომალდს უკანასკნელი [illegible] ვებს... „ვალენსიას“ არაკითარ [illegible] ხვევაში მარტო არ დავაგდებ, [illegible] უმეტეს, გასაჭირისას“.

ექსპრეზიდენტის ოჯახი „ვალენსიას“ აქციათა უმთავრესი [illegible] მფლობელია. სოლერი თავისი [illegible] აქციების გაყიდვას აპირებს, თუმცა დაინტერესებულ მაგნატებს — კასენტე სორიანოსა და ხუან ვალალონგას — ნა მილიონი [illegible] გადახდა არ უნდათ, რაც [illegible] კრიზისში მყოფ გუნდზე [illegible] კეთილად არ იმოქმედებს.

ლადო ხომერიკი

ინგლისი

პრემიერლიგა. XXIX ტური

ჩელსი 6:1 დერბი

1:0 ლამპარდი (28პ), 2:0 კალუ (42), 3:0 ლამპარდი (57), 4:0 ჯ. კოული (64), 5:0, 6:0 ლამპარდი (66, 72), 6:1 ჯონსი (73)

ჩელსი: კუდიჩინი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბალაკი (დროგბა 67), მაკელელე (ესიენი 73), ლამპარდი, ჯ. კოული (შეჩნეო 74), ანელკა, კალუ

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

დერბი: კეროლი, ედვორთი, სტაბსი (ლეკოკი 16), მური, მაკფელი, სტერიოფსკი, ღალი (ერნშოუ 52), სვეიჯი, პირსონი, ლიუისი (ჯონსი 58), მილერი

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: მაკფელი

მსაჯი: ფეი

39 447 მაყურებელი

ასტონ ვილა 1:1 მიდლსბრო

0:1 დაუნინგი (23), 1:1 ბერი (74პ)

ასტონ ვილა: კარსონი, გარდნერი (მელბერგი 46), ნაითი, ლაურსენი, ბოუმა, მელლუნი (პერეუდი 46), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, კარეუ, აგბონლაჰორი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ჰუთი, უიტერი, პოგატეტი, ონილი, ბოატენგი, შავქი, დაუნინგი, თუნჯაი, მიდო (კეტერმოლი 83)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: შავქი, შვარცერი, მიდო, ბოატენგი, ჰუთი

მსაჯი: ბენეტი

39 874 მაყურებელი

პორტსმუთი 4:2 ბირმინგემი

1:0, 2:0 დეფო (6პ, 9), 2:1 მუამბა (10), 2:2 ლარსონი (40), 3:2 ჰრეიდარსონი (49), 4:2 კანუ (90)

პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, კემბელი, დისტენი, ჰრეიდარსონი, დეფო (დენარა 62), მუნტარი, პ. მენდეზი, კრაუჩარი, ბაროში (კანუ 72), დეფო (ლორანი 85)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ბირმინგემი: მ. ტეილორი, კელი, ეაიდი, რიჯველი, მერფი, მაკეფრი, დ. ჯონსონი, მუამბა, ლარსონი, ფორსელი (ჯეროომი 73), სარატე (მაკფადენი 61)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: სარატე

მსაჯი: ტენერი

20 138 მაყურებელი

კრივი სტემფორდ ბრიჯზე

ცხვარს ცხვირში ექვსჯერ მოარტყეს

ფრენკ ლამპარდმა „დერბის“ ოთხჯერ გუტანი

ფრენკ ლამპარდი „დერბისთან“ პოკერი შეასრულა და საამსეზონო გოლების რაოდენობა (ყველა ტურნირში) 17-მდე გაზარდა. ეს ოთხით მეტია მთელი „დერბის“ მიერ პრემიერლიგაში გატანილზე.

ასოციაციის თასზე „ბარნსლისთან“ შერცხვენილ „ჩელსის“ გაბრაზებულ გულზე გასაცოდავებული მეტოქე შემოელახა. „ცხვრებს“ ექვსი თვეა, არ მოუგიათ და თვეზე მეტხანს გოლი არ გაეტანათ, რაც „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაშის ბოლოს შეძლეს.

„ეს იგივეა, მსოფლიოს ჩემპიონმა პროფესიონალმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ მოყვარულს რომ სცემოს“ — თქვა დამარცხებულთა მწვრთნელმა პოლ ჯუელმა.

ლონდონელები შესვენებამდე ორ გოლს დასჯერდნენ, რაც ფრიად საპატიო შედეგი იყო „დერბისთვის“, მაგრამ მეორე ტაიმის თხუთმეტწუთიან მონაკვეთში მასპინძლები „აფეთქდნენ“ და კიდევ ოთხი მიაყოლეს.

მოკლედ, „ჩელსის“ კარგი ვარჯიში გამოუვიდა, ავრაამ გრანტმა კი თქვა, რომ ფრენკ ლამპარდი ამ ზაფხულს არ წავა და კვლავაც გუნდში დარჩება. ნახევარმცველის კონტრაქტი მომავალ წელს იწურება, მაგრამ გახანგძლივებას არ აპირებს. კვირაში 100 ათასი გირვანქა არ აკმაყოფილებს და მეტი უნდა.

„ფრენკს დარჩენა სურს და ჩვენც ეს გვინდა — განაცხადა გრანტმა — მე არ ვმონაწილეობ მოლაპარაკების პროცესში, რადგან ეს კლუბისა და ფეხბურთელის აგენტის საქმეა, თუმც დარწმუნებული ვარ, ლამპარდი მომავალ სეზონშიც „ჩელსიში“ ითამაშებს. მას უკვე 107 გოლი აქვს გატანილი და ვიმედოვნებ, რომ ამ გუნდის მაისურით გოლების რაოდენობას 150-მდე აიყვანს“.

„ჩელსი“ ხუთი ქულითლა ჩამორჩება ლიდერ „არსენალს“ და ერთი მატჩით ნაკლები აქვს. ეს გუნდები ერთმანეთს 22 მარტს „სტემფორდ ბრიჯზე“ შეხვდებიან.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ, „მიდლსბრომ“ „ასტონ ვილასთან“ ქულა აიღო, მაგრამ სტუმართა მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა თქვა, რომ მსაჯმა მათ გამარჯვება წაართვა. ბოროელები სტიუარტ დაუნინგმა დააწინაურა, რომელმაც ზატ ნაითის შეცდომით ისარგებლა და ამის შემდეგაც უპირატესობა საუთგეიტის გუნდისა იყო.

„ასტონ ვილამ“ მეორე ტაიმში თამაში გაუმჯობესა, მაგრამ სახეირო ვერაფერი შექმნა და ბოლოს მსაჯი სტივ ბენეტი დაეხმარა. ბურთი საჯარიმოში ლუკ იანგს მკლავზე მოხვდა და არბიტრმა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითა. პენალტი გარეტ ბერიმ გამოიყენა, ხოლო გარეთ საუთგეიტმა დაიჩივლა: „მსაჯების კრიტიკა არ მჩვევია, მაგრამ ამის შემდეგ გაჩუმებას აღარ ვაპირებ. ეპიზოდი გამეორებაზე ვნახე და ლუკს ბურთი არც დაუნახავს, იგი ზურგით იდგა და ხელით შეგნებულად არ უთამაშია. მსაჯთა შეფს კეიტ ჰეკეტს აუცილებლად შეეჩივლებ, მაგრამ მასთან მისვლაც არ იქნება იოლი, რადგან მგონია, მწვრთნელების რიგი დგას. ბენეტმა იმდენი ფეხბურთელი გააფრთხილა ჩემი გუნდიდან, რომ აღარც მახსოვს, ყვითელი ბარათი ვინ და რისთვის მიიღო“.

„ასტონ ვილას“ რომ მოეგო, „ევერტონს“ ხუთი ქულით მიუახლოვდებოდა და რაკი ვერ მოახერხა, მწვრთნელი მარტინ ონილიც ნაწყენი დარჩა: „კარგა ხანია, ასე ცუდად არ გვითამაშია და მოგებას არც ვიმსახურებდით. „ევერტონთან“ მიახლოების შანსი უნდა გამოგვეყენებინა, რადგან ძალიან მინდა, რომ მომავალ სეზონში უეფას თასზე გავიდეთ“.

პორტსმუთში ჯერმეინ დეფომ გაილაღა და სამ წუთში დუბლი შეასრულა. ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებული მასპინძლების სიხარული ბირმინგემელმა მუამბამ მალე გაანელა, ხოლო სტანლი [illegible] რსონმა საჯარიმო დარტყმა „[illegible] ტსმუთის“ უპრატესობა [illegible]

შესვენების შემდეგ [illegible] ხელახლა მოუხდათ საქმის კეთება და ჰერმან ჰრეიდარსონმა პორტსმუთელები კვლავ დააწინაურა. „ბირმინგემს“ აღარ ეყო დაღა მეტოქის გასატანად და გასაოცარბრეწელად, ბოლოს კი ნვანკვო კანუმ თავდასხმა მეოთხე შეაგდო და მასპინძლები დააშალა.

ვაჟა ხუციშვილი

არსენალი	29	19	9	1	57:21	66
მანჩესტერი	28	20	4	4	58:15	64
ჩელსი	28	18	7	3	48:16	61
ლივერპული	29	15	11	3	53:20	56
ევერტონი	29	17	5	7	47:24	56
ასტონ ვილა	29	13	10	6	52:37	49
პორტსმუთი	29	13	8	8	42:31	47
ბლეკბერნი	29	12	10	7	38:35	46
სიტი	29	12	9	8	34:33	45
ვესტ ჰემი	29	11	7	11	31:35	40
ტოტენჰემი	28	9	8	11	53:45	35
მიდლსბრო	29	7	9	13	26:43	30
უიგანი	29	7	7	15	26:42	28
რედინგი	29	8	4	17	34:55	28
ნიუკასლი	29	7	7	15	30:56	28
სანდერლენდი	29	7	6	16	26:47	27
ბირმინგემი	29	6	8	15	33:45	26
ბოლტონი	28	6	7	15	28:42	25
ფულემი	29	3	11	15	26:49	20
დერბი	29	1	7	21	14:63	10

ჩემპიონატი. XXXVIII ტური

კარდიფი 1:0 ჰალი

ვესტ ბრომვიჩი 1:1 კრ. პალასი

ბრისტოლი	38	18	13	7	45:42	67
სტოკი	38	18	12	8	61:49	66
უოტფორდი	37	17	12	8	57:43	63
ვესტ ბრომვიჩი	36	18	8	10	72:43	62
ჩარლტონი	38	15	11	12	53:45	56
ჰალი	37	15	11	11	46:40	56
პლიმუთი	38	15	10	13	49:39	55
ბარნლი	38	14	13	11	51:49	55
კრ. პალასი	38	13	15	10	42:37	54
იფსვიჩი	37	14	11	12	54:48	53
ვულვზი	36	13	12	11	36:38	51
კარდიფი	36	12	12	12	43:42	48
ქუინზ პარკი	38	12	12	14	50:54	48
ბლეკპული	38	11	14	13	53:52	47
შეფილდი	37	11	14	12	39:41	47
პრესტონი	38	13	7	18	38:43	46
ბარნსლი	37	11	13	13	42:52	46
ნორვიჩი	38	12	10	16	35:46	46
საუთჰემპტონი	38	11	12	15	49:61	45
ქოვენთრი	37	12	7	18	39:52	43
უენსდი	36	12	6	18	38:43	42
ლესტერი	38	9	14	15	34:35	41
სკანთორპი	37	9	11	17	35:53	38
კოლჩესტერი	37	6	14	17	49:63	32

ბებრის ყვავილობა

რაიან გიგზი

რაიან გიგზი ამბობს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ საჩემპიონო რბოლაში გადამწყვეტ საქმეს მისნაირი „ბებრები“ გაუკეთებენ. მოგეხსენებათ, მიმდინარე სეზონში მანჩესტერელ ფეხბურთელთაგან ფანებს თვალი ახლგაზრდებმა და ახალწვეულებმა მოჭრეს. მათ შორის არიან ანდერსონი და ნანი, მაგრამ 34 წლის გარემარბი მაინც თავისი თაობის მნიშვნელოვნებაზე ამახვილებს ყურადღებას:

„გამოცდილი მოთამაშეების დახმარება უმნიშვნელოვანესია. ისევე, როგორც წინა სეზონში, ამ სეზონშიც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა დაგვემატა, მაგრამ ისევე როგორც შერშანდელებს, წლევანდელებსაც დახმარება და გამოცდილების გაზიარება სჭირდებათ და ამ თვალსაზრისით მე, გარი ნევილი, პოლ სქოულზი და ედვინ ვან დერ სარი შეუცვლელნი ვართ.

ჩვენ ახალგაზრდებს ყველანაირად ვეხმარებით. ეს შეიძლება ზეპირი დახმარება იყოს, ან თამაშის დროს სიტუაციის შესაფერისი ტემპერამენტის შერჩევა. ზოგჯერ დაწყნარება სჯობს, ზოგჯერ კი პირიქით, ძალების ხარჯვა.

ძნელია, როდესაც ახალგაზრდა კაცი პირდაპირ საქმეში ერთვება და თავს უდიდესი თამაშების მთელი წყება ეკრება. არადა, ფეხბურთელს ყოველ შეხვედრაში საუკეთესოდ თამაშს სთხოვენ... მინდა გითხრათ, რომ შარშან აყვანილმა ბიჭებმა, მართალია, არაფერი მოუგიათ, მაგრამ ყველაფერს პირნათლად გაართვეს თავი, ამ სეზონში კი გუნდი შარშანდელზე უფრო კარგად არის აღჭურვილი. დღეს კარგი მდგომარეობაა, შარშანდელისგან განსხვავებით დაშავებულები არ გვყავს. იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება მერეც, როდესაც თამაშები შაბათი-ოთხშაბათი-შაბათის რეჟიმით ერთმანეთს გადაებმება და თან თითოეული ფინალის მნიშვნელობას შეიძენს. საბედნიეროდ, დღეს ჩვენს მწვრთნელს აქვს დაღლილების შეცვლის საშუალება. დღეს თითო ადგილზე ორ-ორი კაცი გვყავს“.

პაპუნა კედია

რონალდო: მე დავბრუნდები

ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ დაადასტურა, რომ სერის, პროფესიულ ფეხბურთს სრულიად ჯანმრთელი დაუბრუნდეს და ყველანაირად ეცდება, ამ მიზანს მიაღწიოს.

თებერვალში მარცხენა მუხლის მყესების გაწყვეტის შემდეგ „კეტის“ საფეხბურთო მომავალი სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა, მით უმეტეს, რომ მსგავსი ტრავმა, ოღონდ მარჯვენა მუხლზე, მას წარსულში ორჯერ ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ რონალდოს მინიმუმ ცხრათვიანი სარეაბილიტაციო კურსი სჭირდება, ხოლო „მილანთან“ მის მოქმედ კონტრაქტს კიდევ სეზონის ბოლოს ეწურება. თუმცა „როსონერი“ მზად არის, „კეტის“ გასამხნევებლად მასთან ახალი შეთანხმება გააფორმოს.

„თავს უკეთ ვგრძნობ, უარესი წარსულში დარჩა. ტკივილი აღარ მაწუხებს და სიარულიც ბევრად უფრო თავისუფლად შემიძლია“ — განაცხადა რონალდომ.

31 წლის ფორვარდი 26 დღე პარიზში იყო. იგი მილანში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და ხასიათი მყისვე გამოუკეთდა, რაც მისი სიტყვებიდანაც ჩანს: „აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. „მილანელების“ საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნებამ და მეგობრების ნახვამ ძალიან გამახარა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, ტკივილს რომ აღარ ვგრძნობ და ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, მაგრამ ჯერ რაღე გადაწყვეტილებაზე საუბარი ნაადრევია, წინ კიდევ დიდი დროა. თუმცა ამ გამოწვევას, რომელსაც ფეხბურთში დაბრუნება ჰქვია, ვიღებ და ვცდები, მიზანს მივაღწიო“.

კოკი კანდელაკი

ათლეტური დიეგო



თუ მადრიდის „ატლეტიკომ“ წლეულს საჩემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრა გაინაღდა, „მელეიბენი“ მომავალი სეზონისთვის „ვერდერის“ ნახევარმცველ დიეგო რიბასის ხელში ჩაგდებაზე იზრუნებენ. „ატლეტიკო“ დიეგოს მსგავს თამაშის ორგანიზატორზე და გუნდის დირიჟორზე რომ ოცნებობს, ესპანეთში კარგა ხანია, იციან და ისიც ცნობილია, მადრიდული გუნდი ბრაზილიელის სანაცვლოდ სოლიდური თანხის გადახდას რომ არ მოერიდება.

ერთი სიტყვით, დიეგო „მელეიბეთა“ ფავორიტია. თუმც სატრანსფერო ბრძოლა ადვილი რომ არ იქნება, ეს „ვისენტე კალდერონის“ კლუბის უფროსობამ კარგად იცის. ბრემენელ ვარსკვლავს სახელი შორს აქვს გავარდნილი და მსოფლიო ფეხბურთის გრანდებიც („ბარსელონა“, „რეალი“, „იუვენტუსი“, „მანჩესტერი“) ბრაზილიელის მოსაგარკვეული ფინანსური კომბინაციებით ხელშეკრულების გაუქმებისთვის დაწესებული თანხის გადახდას გვერდი აუაროს. სერხიო რამოსი 21-ის გახლავთ, წლეულს „რეალში“ მესამე კამპანიას ასრულებს და სამეფო გუნდთან კონტრაქტი 2013 წელს უმთავრდება.

რობინიო და ჰეპე „მტაცებელთათვის“ თითქმის მოუხელთებელნი უნდა იყვნენ (ბრაზილიელი 24 წლისაა, პორტუგალიელი კი 25-ის) მაგრამ თუ მოინდომეს, „მილანის“ და „ჩელსის“ ადვოკატები სარგებელს აქაც ნახავენ. ფიფას წესდებით, 23-დან 28-წლამდე ფეხბურთელმა თუ მავან კლუბში სამწლიანი ბურთაობის მერე გუნდი ვადამდე ადრე დატოვა, ოთხთვიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება, ხოლო მისი ახალი კლუბი საკმაოდ მსუბუქ ფულად ჯარიმას გადაიხდის... ისე, რობინიოს „რეალიდან“ საკონტრაქტო ვადამდე ადრე წასვლა 150 მილიონი ევრო ღირს, ჰეპესი კი — 120 მილიონი.

ლადო ხომერიკი

ვინ მოდის და ვინ რჩება ბერნაბეუზე

ლუიშ ფაბიანოზე (№10) „რეალი“ დაფიქრდა

ესპანური „მარკას“ ვერსიით, „რეალი“ „სევილიასა“ და ესპანური პრიმერადივიზიონის მეგოლე ლუიშ ფაბიანუთი დაინტერესდა. სამეფო გუნდის წარმომადგენლები ბრაზილიელის ადვოკატებს დაუკავშირდნენ და ვარსკვლავის საკონტრაქტო სიტუაციის შესახებ ჰკითხეს. აღმოჩნდა, რომ ფაბიანუ 11 მილიონი ევროს ფასად შეიძლება გადაბარგდეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

ლუიში ამჟამად ლა ლიგას პიჩიჩის (მთავარმეგოლის) ტიტულისთვის მებრძოლთა სიას თავკაცობს. სევილიელის ანგარიშზე 20 საპრიმერო გოლია, მეორე ადგილზე კი 15 გოლით „სარაგოსას“ არგენტინელი დიეგო მილიტო მოდის.

სამომავლო ლეგიონერებზე ფიქრს მადრიდში ადგილობრივთა შენარჩუნებაზე ზრუნვასაც კარგად უთავსებენ. სერხიო რამოსზე, რობინიოსა და ჰეპეზე დიდევროპული გრანდები (ძირითადად „მილანი“ და „ჩელსი“) ნადირობენ და „რეალსაც“ უნდა, ხელშეკრულებათა დროული გახანგრძლივებით ხსენებული ახალგაზრდა მეომრები „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დატოვოს.

ფიფას წესდებით (2001 წლის ივლისის რეფორმა), თუ ფეხბურთელი 23 წლის ჯერ არ არის და ამჟამინდელ კლუბში უკვე სამი წელიწადია, თამაშობს, მას უფლება ეძლევა, გუნდი საკონტრაქტო ვადამდე ადრე დატოვოს, თან ისე, რომ „ჩელსის“ ადვოკატები სარგებელს აქაც ნახავენ. ფიფას წესდებით, 23-დან 28-წლამდე ფეხბურთელმა თუ მავან კლუბში სამწლიანი ბურთაობის მერე გუნდი ვადამდე ადრე დატოვა, ოთხთვიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება, ხოლო მისი ახალი კლუბი საკმაოდ მსუბუქ ფულად ჯარიმას გადაიხდის... ისე, რობინიოს „რეალიდან“ საკონტრაქტო ვადამდე ადრე წასვლა 150 მილიონი ევრო ღირს, ჰეპესი კი — 120 მილიონი.

ლადო ხომერიკი

თუ ყმაწვილი არ ...
მაშინ დროგბა იყოს...

დიდი დროგბა, რომელიც 11 მარტს 30 წლის შესრულდა, სამომავალსეზონოდ მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავური ტრანსფერი იქნება. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სამეფო თეთრებმა „მანჩესტერის“ კრიშტიანუ რონალდუსთან ან „არსენალის“ სესკ ფაბრეგასთან გარიგება ვერ შეძლეს.

მადრიდელთა მიზანი ცენტრალური თავდამსხმელის შეძენაა. შეგახსენებთ, რომ რუუდ ვან ნისტელროი უკვე საკმაოდ „ბებერია“ (ივლისში 32 წლის შესრულდება) და ტრავმებმაც გატანჯა. ამის გამო „რეალის“ თავკაცობა სხვა მოიერიშეებზე ფიქრობს. ამ სხვებიდან ორმა, სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩის პროტეჟე სოლდადომ და ბერნდ შუსტერის ოდინდელმა ფავორიტმა ხავიერ სავიოლამ „ბერნაბეუზე“ მარცხი განიცადეს. რობერტო სოლდადო ამ სეზონში მოედანზე თითქმის არ გამოსულა, უიღბლო სავიოლამ კი მწვრთნელის ნდობა დაკარგა.

თავის დროზე „ჩელსიმ“ დროგბა „მარსელიდან“ 35 მილიონ ევროდ იყიდა. მადრიდში კი თვლიან, რომ ფეხბურთელის ასაკმა და „სტემფორდ ბრიჯიდან“ თავის დაღწევის სურვილმა მისი სატრანსფერო ღირებულება უნდა შეამციროს. მიუხედავად იმისა, რომ კოტდივუარელს „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, დროგბა უკვე კარგა ხანია ამტკიცებს, მაურინიუს წასვლის მერე გუნდი „დაობლდა“ და ახლა ესპანეთში ან იტალიაში უნდა წავიდეო. საერთოდ, ინგლისელები თავიანთ ფეხბურთელებს ძვირად ყიდიან. მაგალითად, არიენ რობენის ტრანსფერი „რეალს“ 36 მილიონი ევრო დაუჯდა.

ახლა სხვა სამომავლო მადრიდულ ვარიანტებზეც ვთქვათ. თუ დროგბას „ბერნაბეუზე“ ჩაყვანა „რეალს“ უახლოესი 3 წლის განმავლობაში გოლებით უზრუნველყოფს, მავან სხვა, ახალგაზრდა ფორვარდთან კონტრაქტის გაფორმება ნიშნავს, რომ იგი სამეფო გუნდში დიდი ხნით დარჩება. ამიტომაც დადის მიგელ ანხელ პორტუგალი რუსეთსა და ამერიკაში და იქაურ ნორჩ ვარსკვლავებს აკვირდება. მადრიდელთა სიაში პავლიუჩენკო, ალტიდორე, ფლეიტერი და ნეიმარი არიან.

ქარიმ ბენზემაც ახალგაზრდა ინვადამსხმელია (20 წლის გახლავთ). ოღონდ „ლიონის“ შემტევს ევროპაში უკვე ვარსკვლავად მოიხსენიებენ. ბენზემამ 45 მატჩში 27 გოლი გაიტანა, მასზე ევროპელი გრანდები ნადირობენ და „ლიონის“ ფანები კი პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლოლალბათ წინასწარ საიმედოებით ხელებს იფშვნეტს იმის წარმოდგენაზე, ახალგაზრდა ბენიოსში „რომდენს“ გადაუხდიან. ოღონ „რეალის“ მაჰმადუ დიარას სანაცვლოდ მიიღო 26 მილიონი ევრო წაგებულა და მარტო ერთმა ღმერთმა იცის, ბენზემაში რამდენს გადაახდევინებენ.

14293	ბეერსხოტი-სტანდარდი	1.90	1.90
14305	გრონინგენი-ჰერენვენი	1.80	2.00
14306	ტვენტე-ვიტესი	1.45	2.40
14307	გრაიფსხაპი-ჰერაკლესი	1.80	2.00
14311	უტრეხტი-აქმაარი	1.75	2.10
14314	ნაიმეგენი-სპარტა	1.45	2.40
14315	როდა-პსვ	2.30	1.65
14327	დორდრეხტი-ტელსტარი	1.75	2.10
14329	ეინდჰოვენი-ვეენდამი	1.80	2.00
14330	იგლზი-როზენდალი	1.80	2.00
14331	დენ ბოსხი-ზვოლე	1.80	2.00
14332	სიტარდი-მაასტრიხტი	1.80	2.00
14333	ოს-ომნივორლდი	1.70	2.20
14334	ჰაარლემი-ჰელმონდი	2.10	1.75
14336	ემენი-დენ ჰაგი	2.00	1.80
14337	ბოავიშტა-ამადორა	1.70	2.20
14338	ლეიშოეში-პორტუ	2.50	1.30
14340	მარიტიმუ-ბენფიკა	2.20	1.70
14342	ფერეირა-სეტუბალი	1.90	1.90
14343	ბრაგა-ნავალი	1.45	2.40
14344	სპორტინგი-ნასიონალი	1.30	2.50
14345	ლეირია-გიმარაეში	2.20	1.70
14347	აკადემიკა-ბელენენსეში	1.80	2.00
14364	კონია-ფენერბაჰჩე	2.50	1.30
14366	ანკარა-გალათასარაი	2.40	1.45
14369	კაისერი-გენჩლერბირლიგი	1.30	2.50
14370	ანკარაგიუჯიუ-ოფთასპორი	1.75	2.10
14371	კასიმპასა-ისტანბული	2.00	1.80
14372	მანისა-სივასპორი	2.30	1.65
14373	ბეშიქთაში-ტრაბზონი	1.30	2.50
14375	ბურსა-რიზე	1.65	2.30

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 მარტი						
19:00	384	იაგელონია-ზაგლებე ს	1.70	3.25	4.50	1.11	1.23	1.88
19:00	386	რუხი-ვიძეკი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
19:00	387	კრაკოვია-გურნიკი	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
21:30	389	ლეხი-ვისლა	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
19:00	391	ლიხი-გროცლინი	4.20	3.20	1.75	1.81	1.23	1.13
		16 მარტი						
22:15	385	ლეგია-ზაგლებე ლ	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
		ჩეხეთი						
		15 მარტი						
20:00	397	ხიგმა-ბანიკი	2.75	2.80	2.55	1.38	1.32	1.33
		16 მარტი						
20:00	393	ტეპლიცე-ზლინი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
20:00	394	კლადნო-ჰისტი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
18:00	395	პლზენი-ლიბერეცი	2.55	2.80	2.75	1.33	1.32	1.38
18:00	396	იაბლონეცი-ბრნო	2.65	2.80	2.65	1.36	1.32	1.36
13:15	398	ვიკოვი-ბუდეიოვიცე	2.00	3.00	3.60	1.20	1.28	1.63
23:15	399	ხლაკია-ბოჰემიანსი	1.25	4.70	10.00	1.00	1.11	3.19
		17 მარტი						
20:15	392	ბოლესლავი-სპარტა	3.60	3.00	2.00	1.63	1.28	1.20
		სლოვაკეთი						
		14 მარტი						
20:30	404	ხინეკი-ხლოვანი	2.75	3.10	2.35	1.45	1.26	1.33

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 მარტი						
20:30	400	დუნიცა-ჟილინა	5.50	3.20	1.60	2.02	1.23	1.06
20:00	402	ნიტრა-კოშიცე	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
17:30	403	ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
20:30	405	ტრნავა-პეტრჟალკა	2.85	2.90	2.40	1.43	1.30	1.31
		16 მარტი						
13:30	401	ზლატე მორავცე-ტრენჩინი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
		დანია						
		სუპერლიგა						
		15 მარტი						
20:00	409	ოდენსე-ოლბორგი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
		16 მარტი						
17:00	406	ჰორსენსი-ორჰუსი	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
19:00	407	ლიუნგბიუ-კოპენჰაგენი	11.00	5.00	1.25	3.43	1.12	1.00
19:00	410	ვიბორგი-ესბიერგი	2.55	3.30	2.55	1.43	1.27	1.43
21:00	411	ბრიონდბიუ-რანდერსი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
		17 მარტი						
22:00	408	მიდტიჟლანდი-ნორდსიელანდი	1.65	3.70	4.55	1.14	1.21	2.04
		ირლანდია						
		14 მარტი						
23:30	412	ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
23:45	413	ბრეი-დუბლინი	2.05	3.10	3.35	1.23	1.27	1.61

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	414	დერი-ფინ პარკსი	1.55	3.40	5.70	1.06	1.24	2.12
23:45	415	შემროკი-კორკი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.57
		15 მარტი						
23:45	416	რამბლერსი-გალვეი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.57
23:45	417	სლიგო-დროგედა	3.85	3.20	1.85	1.24	1.38	1.53
		იაპონია						
		15 მარტი						
09:00	418	ურავა-ნაგოია	1.45	3.60	6.20	1.03	1.17	2.27
08:00	419	ოიტა-კაშივა	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
12:00	420	ჰიროჰარა-შიმიცუ	3.10	3.10	2.10	1.54	1.25	1.25
11:00	421	ნიიგატა-ტოკიო	1.70	3.30	4.25	1.12	1.31	1.85
11:00	422	საპორო-იოკოჰამა ფმ	3.80	3.20	1.85	1.73	1.24	1.17
10:00	423	კობე-კავასაკი	3.65	3.20	1.85	1.70	1.22	1.17
10:00	424	ივატა-გამბა	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		16 მარტი						
11:00	425	ვერდი-კაშიმა	4.00	3.30	1.70	1.80	1.19	1.12
08:00	426	კუიტო-ომია	1.95	3.20	3.25	1.21	1.21	1.61
		შოტლანდია						
		თასი						
		16 მარტი						
19:00	723	დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი	6.00	3.60	1.60	2.25	1.26	1.10

რეიმელ ტაიმში ბაჯა მეტი ბილი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15124	ჰამბურგი-დორტმუნდი	3.00	2.80	2.00
15126	ჰანზა-ჰერტა	3.00	2.80	2.00
15127	ჰანოვერი-არმინია	3.00	2.80	2.00
15128	კარლსრუე-ბაიერნ	3.00	2.80	2.00
15129	ვერდერი-ვოლფსბურგი	3.00	2.80	2.00
15132	ბოხუმი-შტუტგარტი	3.00	2.80	2.00
15135	ლევერკუზენი-ნიურნბერგი	3.00	2.80	2.00
15136	ოსნაბრიუკი-აუგსბურგი	3.00	2.80	2.00
15137	ფრაიბურგი-კიოლნი	3.00	2.80	2.00
15138	ჰოფენჰაიმი-აუე	3.00	2.80	2.00
15139	ფიურტი-კობლენცი	3.00	2.80	2.00
15140	ოფენბახი-კარლ ცაისი	3.00	2.80	2.00
15141	მაინხენგლადბახი-ხტ.პაული	3.00	2.80	2.00
15142	მიუნხენი 1860-მაინცი	3.00	2.80	2.00
15143	პადერბორნი-ალემანია	3.00	2.80	2.00
15144	ვეენი-კაიზერსლაუტერნი	3.00	2.80	2.00
15163	მატერნბურგი-რაპიდი	3.00	2.80	2.00
15165	ტიროლი-ალტახი	3.00	2.80	2.00
15166	შტურმი-რიდი	3.00	2.80	2.00
15167	ზალცბურგი-ლინცერი	3.00	2.80	2.00
15176	იანგ ბოიზი-ხტ.გალენი	3.00	2.80	2.00
15178	გრასჰოპერი-ლუცერნი	3.00	2.80	2.00
15179	ქსამაქსი-თუნი	3.00	2.80	2.00
15180	აარაუ-ციურიხი	3.00	2.80	2.00
15181	ხიონი-ბაზელი	3.00	2.80	2.00
15274	დიჟონი-ბასტია	3.00	2.80	2.00
15275	ტრუა-ბრესტი	3.00	2.80	2.00
15276	აიაჩო-შატორუ	3.00	2.80	2.00
15277	ბულონი-კლერმანი	3.00	2.80	2.00
15278	ნიორი-ლე ავრი	3.00	2.80	2.00
15279	გრენობლი-ლიბურნი	3.00	2.80	2.00
15280	გენიონი-ნანტი	3.00	2.80	2.00
15281	გენგამი-რეიმსი	3.00	2.80	2.00
15282	ანჟე-ხედანი	3.00	2.80	2.00
15283	მონპელიე-ამიენი	3.00	2.80	2.00
15284	ლოერენი-დენდერი	3.00	2.80	2.00
15285	მეხელენი-გენტი	3.00	2.80	2.00
15286	მუსკრონი-შარლერუა	3.00	2.80	2.00
15287	მონსი-ვარეგემი	3.00	2.80	2.00
15288	სტ-ტრუიდენი-სერკლი	3.00	2.80	2.00
15289	ვესტერლო-გენტი	3.00	2.80	2.00
15293	ბეერსხოტი-სტანდარდი	3.00	2.80	2.00
15305	გრონინგენი-ჰერენვენი	3.00	2.80	2.00
15306	ტვენტე-ვიტესი	3.00	2.80	2.00
15307	გრაფსხაპი-ჰერაკლესი	3.00	2.80	2.00
15311	უტრეხტი-ალკმაარი	3.00	2.80	2.00
15314	ნაიმეგენი-სპარტა	3.00	2.80	2.00
15315	როდა-პსვ	3.00	2.80	2.00
15327	დორდრეხტი-ტელსტარი	3.00	2.80	2.00
15329	ეინდჰოვენი-ვეენდამი	3.00	2.80	2.00
15330	იგლზი-როზენდალი	3.00	2.80	2.00
15331	დენ ბოსხი-ზვოლე	3.00	2.80	2.00
15332	სიტარდი-მაასტრიხტი	3.00	2.80	2.00
15333	ოსი-ომმეიორლდი	3.00	2.80	2.00
15334	პაარლემი-ჰელმონდი	3.00	2.80	2.00
15336	ემენი-დენ ჰააგი	3.00	2.80	2.00
15337	ბოავიშტა-ამადორა	3.00	2.80	2.00
15338	ლეიშოეში-პორტუ	3.00	2.80	2.00
15340	მარიტიმუ-ბენფიკა	3.00	2.80	2.00
15342	ფერეირა-ხეტუბალი	3.00	2.80	2.00
15343	ბრაგა-ნავალი	3.00	2.80	2.00
15344	სპორტინგი-ნახიონალი	3.00	2.80	2.00
15345	ლეირია-გიმარაეში	3.00	2.80	2.00
15347	აკადემიკა-ბელენენსეში	3.00	2.80	2.00
15364	კონია-ფენერბაჰჩე	3.00	2.80	2.00
15366	ანკარა-გალათასარაი	3.00	2.80	2.00
15369	კაისერი-გენჩლერბირლიგი	3.00	2.80	2.00
15370	ანკარაგიუჯიუ-ოიფთასპორი	3.00	2.80	2.00
15371	კასიმპასა-ისტანბული	3.00	2.80	2.00
15372	მანისა-სივასპორი	3.00	2.80	2.00
15373	ბეშიქთაში-ტრაბზონი	3.00	2.80	2.00
15375	ბურსა-რიზე	3.00	2.80	2.00

ბილი:ფქვილი-10%-კენტი-2 (0:0 ითვლება ფქვილად)

17124	ჰამბურგი-დორტმუნდი	1.85	1.95
17126	ჰანზა-ჰერტა	1.85	1.95
17127	ჰანოვერი-არმინია	1.85	1.95
17128	კარლსრუე-ბაიერნი	1.85	1.95
17129	ვერდერი-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17131	შალკე-დუისბურგი	1.85	1.95
17132	ბოხუმი-შტუტგარტი	1.85	1.95
17133	კოტბუსი-ბაიერნი	1.85	1.95
17135	ლეკერკუზენი-ნიურნბერგი	1.85	1.95
17136	ოსნაბრიუკი-აუგსბურგი	1.85	1.95
17137	ფრაიბურგი-კიოლნი	1.85	1.95
17138	ჰოფენჰაიმი-აუე	1.85	1.95
17139	ფიურტი-კობლენცი	1.85	1.95
17140	ოფენბახი-კარლ ცაისი	1.85	1.95
17141	მაინხენგლადბახი-ხტ.პაული	1.85	1.95
17142	მიუნხენი 1860-მაინცი	1.85	1.95
17143	პადერბორნი-ალემანია	1.85	1.95
17144	ვეენი-კაიზერსლაუტერნი	1.85	1.95
17163	მატერნბურგი-რაპიდი	1.85	1.95
17165	ტიროლი-ალტახი	1.85	1.95
17166	შტურმი-რიდი	1.85	1.95
17167	ზალცბურგი-ლინცერი	1.85	1.95
17168	აუსტრია-აუსტრია კლაგენფურტი	1.85	1.95
17176	იანგ ბოიზი-ხტ.გალენი	1.85	1.95
17178	გრასჰოპერი-ლუცერნი	1.85	1.95
17179	ქსამაქსი-თუნი	1.85	1.95
17180	აარაუ-ციურიხი	1.85	1.95
17181	ხიონი-ბაზელი	1.85	1.95
17274	დიჟონი-ბასტია	1.85	1.95
17275	ტრუა-ბრესტი	1.85	1.95
17276	აიაჩო-შატორუ	1.85	1.95
17277	ბულონი-კლერმანი	1.85	1.95
17278	ნიორი-ლე ავრი	1.85	1.95
17279	გრენობლი-ლიბურნი	1.85	1.95
17280	გენიონი-ნანტი	1.85	1.95
17281	გენგამი-რეიმსი	1.85	1.95
17282	ანჟე-ხედანი	1.85	1.95
17283	მონპელიე-ამიენი	1.85	1.95
17284	ლოერენი-დენდერი	1.85	1.95
17285	მეხელენი-გენტი	1.85	1.95
17286	მუსკრონი-შარლერუა	1.85	1.95
17287	მონსი-ვარეგემი	1.85	1.95
17288	სტ-ტრუიდენი-სერკლი	1.85	1.95
17289	ვესტერლო-გენტი	1.85	1.95
17290	ანდერლეხტი-რუბელარე	1.85	1.95
17291	ბრიუგე-ბრაუნელი	1.85	1.95
17293	ბეერსხოტი-სტანდარდი	1.85	1.95
17305	გრონინგენი-ჰერენვენი	1.85	1.95
17306	ტვენტე-ვიტესი	1.85	1.95
17307	გრაფსხაპი-ჰერაკლესი	1.85	1.95
17308	ფეიენოორდი-ვენლო	1.85	1.95
17309	ბროდა-ულსლინიორი	1.85	1.95
17311	უტრეხტი-ალკმაარი	1.85	1.95
17312	აიქსი-ტილბურგი	1.85	1.95
17314	ნაიმეგენი-სპარტა	1.85	1.95
17315	როდა-პსვ	1.85	1.95
17327	დორდრეხტი-ტელსტარი	1.85	1.95
17328	ვალვეიკი-აპელდორნი	1.85	1.95
17329	ეინდჰოვენი-ვეენდამი	1.85	1.95
17330	იგლზი-როზენდალი	1.85	1.95
17331	დენ ბოსხი-ზვოლე	1.85	1.95
17332	სიტარდი-მაასტრიხტი	1.85	1.95
17333	ოსი-ომმეიორლდი	1.85	1.95
17334	პაარლემი-ჰელმონდი	1.85	1.95
17335	ვოლენდამი-კამბური	1.85	1.95
17336	ემენი-დენ ჰააგი	1.85	1.95
17337	ბოავიშტა-ამადორა	1.85	1.95
17338	ლეიშოეში-პორტუ	1.85	1.95
17340	მარიტიმუ-ბენფიკა	1.85	1.95
17342	ფერეირა-ხეტუბალი	1.85	1.95
17343	ბრაგა-ნავალი	1.85	1.95
17344	სპორტინგი-ნახიონალი	1.85	1.95
17345	ლეირია-გიმარაეში	1.85	1.95
17347	აკადემიკა-ბელენენსეში	1.85	1.95
17364	კონია-ფენერბაჰჩე	1.85	1.95
17366	ანკარა-გალათასარაი	1.85	1.95
17369	კაისერი-გენჩლერბირლიგი	1.85	1.95
17370	ანკარაგიუჯიუ-ოიფთასპორი	1.85	1.95
17371	კასიმპასა-ისტანბული	1.85	1.95
17372	მანისა-სივასპორი	1.85	1.95
17373	ბეშიქთაში-ტრაბზონი	1.85	1.95
17375	ბურსა-რიზე	1.85	1.95

ფრეის ბარეში (ძირ დრე)

16124	ჰამბურგი-დორტმუნდი	1.24	3.60
16126	ჰანზა-ჰერტა	1.80	1.85
16127	ჰანოვერი-არმინია	1.24	3.60
16128	კარლსრუე-ბაიერნ	1.50	2.30
16129	ვერდერი-ვოლფსბურგი	1.24	3.60
16132	ბოხუმი-შტუტგარტი	1.80	1.80
16135	ლეკერკუზენი-ნიურნბერგი	1.17	4.10
16136	ოსნაბრიუკი-აუგსბურგი	1.50	2.30
16137	ფრაიბურგი-კიოლნი	1.55	2.20
16138	ჰოფენჰაიმი-აუე	1.08	5.00
16139	ფიურტი-კობლენცი	1.23	3.60
16140	ოფენბახი-კარლ ცაისი	1.40	2.55
16141	მაინხენგლადბახი-ხტ.პაული	1.11	5.70
16142	მიუნხენი 1860-მაინცი	1.80	1.85
16143	პადერბორნი-ალემანია	2.10	1.60
16144	ვეენი-კაიზერსლაუტერნი	1.50	2.30
16163	მატერნბურგი-რაპიდი	1.70	1.95
16165	ტიროლი-ალტახი	1.38	2.65
16166	შტურმი-რიდი	1.24	3.60
16167	ზალცბურგი-ლინცერი	1.14	4.70
16176	იანგ ბოიზი-ხტ.გალენი	1.12	4.60
16178	გრასჰოპერი-ლუცერნი	1.25	3.40
16179	ქსამაქსი-თუნი	1.32	3.00
16180	აარაუ-ციურიხი	2.10	1.60
16181	ხიონი-ბაზელი	2.90	1.32
16274	დიჟონი-ბასტია	1.95	1.65
16275	ტრუა-ბრესტი	1.12	4.60
16276	აიაჩო-შატორუ	1.38	2.65
16277	ბულონი-კლერმანი	1.85	1.80
16278	ნიორი-ლე ავრი	2.45	1.40
16279	გრენობლი-ლიბურნი	1.23	3.60
16280	გენიონი-ნანტი	3.60	1.23
16281	გენგამი-რეიმსი	1.32	3.00
16282	ანჟე-ხედანი	1.80	1.85
16283	მონპელიე-ამიენი	1.45	2.45
16284	ლოერენი-დენდერი	1.32	3.00
16285	მეხელენი-გენტი	1.62	2.05
16286	მუსკრონი-შარლერუა	1.62	2.05
16287	მონსი-ვარეგემი	1.52	2.20
16288	სტ-ტრუიდენი-სერკლი	2.10	1.60
16289	ვესტერლო-გენტი	1.75	1.85
16293	ბეერსხოტი-სტანდარდი	1.80	1.85
16305	გრონინგენი-ჰერენვენი	1.55	2.20
16306	ტვენტე-ვიტესი	1.25	3.40
16307	გრაფსხაპი-ჰერაკლესი	1.62	2.05
16311	უტრეხტი-ალკმაარი	1.52	2.20
16314	ნაიმეგენი-სპარტა	1.23	3.60
16315	როდა-პსვ	2.90	1.32
16327	დორდრეხტი-ტელსტარი	1.50	2.30
16329	ეინდჰოვენი-ვეენდამი	1.58	2.10
16330	იგლზი-როზენდალი	1.58	2.10
16331	დენ ბოსხი-ზვოლე	1.55	2.20
16332	სიტარდი-მაასტრიხტი	1.62	2.05
16333	ოსი-ომმეიორლდი	1.34	2.80
16334	პაარლემი-ჰელმონდი	2.10	1.60
16336	ემენი-დენ ჰააგი	1.82	1.82
16337	ბოავიშტა-ამადორა	1.38	2.65
16338	ლეიშოეში-პორტუ	4.20	1.15
16340	მარიტიმუ-ბენფიკა	2.45	1.40
16342	ფერეირა-ხეტუბალი	1.80	1.80
16343	ბრაგა-ნავალი	1.23	3.60
16344	სპორტინგი-ნახიონალი	1.14	4.70
16345	ლეირია-გიმარაეში	2.45	1.40
16347	აკადემიკა-ბელენენსეში	1.62	2.05
16364	კონია-ფენერბაჰჩე	3.60	1.24
16366	ანკარა-გალათასარაი	3.00	1.30
16369	კაისერი-გენჩლერბირლიგი	1.17	4.10
16370	ანკარაგიუჯიუ-ოიფთასპორი	1.45	2.45
16371	კასიმპასა-ისტანბული	1.82	1.82
16372	მანისა-სივასპორი	2.45	1.40
16373	ბეშიქთაში-ტრაბზონი	1.14	4.70
16375	ბურსა-რიზე	1.32	3.00

პასების პასი

კოტე ტულუშისთვის სუსტი მეტოქე არ არსებობს

ბოლოსწინა ტურში სუპერლიგის პირველი სამმაგი დუბლი დაფიქსირდა (17 ქულა, 15 პასი, 11 მოხსნა), რომელიც „ავიამშენის“ გამოცდილმა გამთამაშებელმა კოტე ტულუშმა გამოაცხო „ვითასთან“ მოგებულ მატჩში. ტულუში კარგა ხანს უტრიალებდა სამმაგ დუბლს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოხსნა აკლდებოდა ხოლმე. ანუ კოტეს ქულების და პასების ხვეჭის პრობლემა არა აქვს. ამ მაჩვენებლებში მას ხშირად გამოუსახავს თავისი შედეგი ორნიშნა რიცხვით. სამმაგ დუბლთან ერთად მან სუპერლიგის რეკორდიც დაამყარა — აქამდე 15 პასი არავის გაუკეთებია

— მოედანზე რომ ვიყავი, სამმაგი დუბლის შესასრულებლად არ ვიბრძოდი. საკმაოდ დაძაბული მატჩი იყო. „ვითა“ მთელი თამაშის განმავლობაში გვიძალიანდებოდა და პირად სტატისტიკაზე არც მიფიქრია. მთავარ მიზნად გამარჯვება მქონდა და სასიამოვნოა, მას სამმაგი დუბლით რომ მივაღწიე.

— ისე, აქამდეც გქონდა სამმაგი დუბლის შესრულების შანსი, მაგრამ ყოველთვის ცოტა გაკლდებოდა...

— ჰო, ძირითადად მოხსნები არ მიგროვდებოდა საჭირო რაოდენობით. ეს ბუნებრივიცაა — გამთამაშებელი ვარ და ფარქვეშ ყოფნა შედარებით იშვიათად მიწევს, თანაც სიმაღლეც ხომ გასათვალისწინებელია. პასები და ქულები კიდევ ჰო, მაგრამ მოხსნების დასაგროვებლად მოწადინებასთან ერთად გამართლებაც საჭიროა. ხანდახან ისე ხდება, ბურთი სწორედ იქით ასხლტება, სადაც ვდგავარ, ხანაც... ბურთი მრგვალია, რას გაუგებ...

— როგორ ფიქრობ, ამ სეზონში მოახერხებს კიდევ ვინმე სამმაგი დუბლის გაკეთებას?

— ვფიქრობ, სამმაგი დუბლი კიდევ იქნება. ჯერ ბევრი თამაშია დარჩენილი.

— აორეც გექნება სამმაგი დუბლი შესრულებული...

— როგორ არა, ეს ჩემი მეოთხე „ტრიპლია“ კარიერაში, 2 გასულ სეზონში შევასრულე, „ენერჯი-ინვესტში“ რომ ვთამაშობდი, ერთიც იმის წინა სეზონში „ავიამშენში“ ყოფნისას.

— გამოდის, „ენერჯი-ინვესტში“ უფრო შედეგიანი იყავი...

— რუსთავულ გუნდში გაცილებით შედეგიანი იმიტომ ვიყავი, რომ უშუალოდ ქულების გროვება მევალებოდა. ახლა კი თამაშის ორგანიზებით ვარ დაკავებული. „ავიამშენის“ მწვრთნელმა — ლევან მოსეშვილმა გამთამაშებლობა დამაკისრა და ქულების გროვებაზე მეტად პასების გაცემით ვარ დაკავებული. ამით კმაყოფილი ვარ, რადგან ქულების გროვებაზე არანაკლებ სიამოვნებაა პასების კეთება.

— პასების რეკორდიც შენ გეკუთვნის...

— ჰოდა, ძალიან მიხარია... იანვარში 14 პასი გავაკეთე და ახლა ეს შედეგი „ვითასთან“ ერთით გავაუმჯობესე. იმედი მაქვს, მიღწეულზე არ გავჩერდები და ამაზე მეტსაც გავაკეთებ.

— შენი შედეგიანობა „ავიამშენის“ შედეგზეც აისახა — იანვარში საქართველოს თასი და ქორქია-საკანდელაძის მემორიალი მოიგეთ. ალბათ ჩემპიონობასაც უმიზნებ...

— რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მის მისაღწევად უფრო მეტი ძალისხმევა დაგვჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ორი ტურნირი უკვე მოვიგეთ, „ავიამშენი“ მაინც კრიზისშია და შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ ავლენს. ეს რეგულარულ ჩემპიონატშიც კარგად ჩანს. ჩვენზე წინ ორი გუნდია.

— რას იტყვი ამ გუნდებზე — „ენერჯი-ინვესტი“ და თსუ-ც საჩემპიონოდ არიან შემართულნი...

— მე ამათ „ვითასაც“ დავამატებდი. ჩვენ ოთხიდან რომელი გახდება ჩემპიონი, ძნელი სათქმელია. „ენერჯი-ინვესტი“ ალბათ მოიგებს რეგულარულს, მაგრამ რა იქნება პლეი ოფში, ვერავინ იტყვის. რუსთაველები მყარად ლიდერობენ და საკუთარი მოედნის უპირატესობასაც მოიპოვებენ, რაც მნიშვნელოვანი კოზირია მათთვის.

— „ენერჯი-ინვესტს“ ალბათ მართლა ვეღარ დაეწევით, მაგრამ მეორეზე გასვლა ხომ შეგიძლიათ?

— შეგვიძლია, მაგრამ მეორე და მესამე ადგილებს შორის განსხვავება არაა. პლეი ოფში მაინც ერთმანეთს ხვდებიან ამ ადგილებზე გასული გუნდები და მოედნის უპირატესობასაც არ აქვს აზრი, რადგან „ენერჯი-ინვესტის“ გარდა ყველა თბილისის გუნდია.

— ესე იგი, ნახევარფინალში თსუ-სთან მოგიწევთ შერკინება, რომელთანაც რეგულარულ ჩემპიონატში ოთხიდან 3 მატჩი წააგეთ...

— მერე რა, სამაგიეროდ, თასის გათამაშების ფინალშიც მოვუგეთ და ქორქია-საკანდელაძის ნახევარფინალშიც. ანუ, გადამწყვეტ მატჩებში ვავჯობეთ და ესაა სწორედ ჩვენი მთავარი კოზირი. „ავიამშენს“ კონცენტრირების ყველაზე უკეთესი უნარი აქვს, გადამწყვეტი მატჩების წინ მობილიზება შეგვიძლია და თსუ-სთანაც ამის იმედი გვაქვს. ისე კი, არაა გამორიცხული, რომ ნახევარფინალში „ვითას“ შევხვდეთ. ამ გუნდმა ბოლო ხანს ძალიან მოუმატა, რუსთავშიც კი იმარჯვა და არ გამიკვირდება, თუ რეგულარულ ჩემპიონატს სამეულში დაამთავრებს.

— რაც „ავიამშენისთვის“ საკმაოდ არასასამოვნო იქნება...

— თუ ჩვენ გბდაგვასწრებს, რა თქმა უნდა, არ იქნება სასიამოვნო, რადგან ასეთ შემთხვევაში „ენერჯი-ინვესტს“ ვეჯახებით. ასეც რომ მოხდეს, ტრაგედია ნამდვილად არ იქნება, რადგან ჩემპიონობას ვაპირებთ და რა აზრი აქვს, ვის როდის შევხვდებით. თუკი „ენერჯი-ინვესტთან“ წაგება გვიწერია, რა მნიშვნელობა აქვს, ეს ნახევარფინალში მოხდება, თუ ფინალში. ისე, რუსთაველებს ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი აქვთ, თსუ-ს, „ვითას“ და „ავიამშენს“ კი — ერთნაირი.

— რას იტყვი მიმდინარე ჩემპიონატის დონეზე?

— დონე გათანაბრდა, მაგრამ, ჩემი აზრით, არ ამაღლებულა. ეს წამყვან მოთამაშეთა გუნდებში თანაბარმა გადანაწილებამ გამოიწვია. ამასთან, არაერთი ახალგაზრდა გამოჩნდა, რომლებიც აქამდე ან საერთოდ არ თამაშობდნენ, ანაც ჩრდილში იყვნენ. შესაბამისად, საინტერესო მატჩებიც გახშირდა. თითქმის ტური ისე არ ჩამთავრებულა, დამატებითი დრო რომ არ დანიშნულიყოს. მიუხედავად ამისა, მაყურებელი არ იმატებს და ეს სუპერლიგის დიდ პრობლემად მიმაჩნია.

— შენი აზრით, ვინაა სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშე?

— გიორგი შერმადინი, რომელიც უზომოდ ბევრ ქულა-მოხსნას აკეთებს. არადა, სრულიად ახალგაზრდაა.

— და რომელია შენთვის ყველაზე უხერხული კალათბურთელი, რომლის წინააღმდეგაც გიჭირს თამაში?

— ვერავის ვერ გამოვყოფ. ყველა სერიოზული მეტოქეა და იოლად არავინ არაფერს დაგითმობს. ის დრო წავიდა, როცა ნახევარი ძალის დახარჯვით იგებდნენ ფავორიტები.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

12 მარტი

ატლანტა 75:83 ჰიუსტონი
18:16 15:16 24:27 18:24
ატლანტა: ჯონსონი (28), ბიბი (8), ჰორფორდი (11), სმითი (16 ქულა, 22 მოხსნა), უილიამსი (8); ფაჩულია (10 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 2 დაკარგვა, 2 ჯარიმა), ლოუ, ჩილდრესი, სტუდემაიერი, ვესტი
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28), ელსტონი (8), მუტომბო (2), ბეტიე (15), სკოლა (7 ქულა, 12 მოხსნა); ჰეიესი (8 ქულა, 12 მოხსნა), ჰეიდი (7), ჯეკსონი (6), ნოვაკი (2), ჰარისი

ორლანდო 110:88 კლიპერსი
ორლანდო: ჰოვარდი (22 ქულა, 13 მოხსნა), ლუისი (19), თურქოღლუ (17)
კლიპერსი: მეჯეტი (22), მობლი (17), ტორნტონი (17)

მაიამი 88:91 ნიუ იორკი
მაიამი: დევისი (27), მერიონი (15 ქულა, 17 მოხსნა), უილიამსი (15)
ნიუ იორკი: კროუფორდი (23), რენდოლფი (19 ქულა, 12 მოხსნა), რობინსონი (17)

ბოსტონი 111:88 სიეტლი
ბოსტონი: გარნეტი (18), ალენი (18), პირსი (14 ქულა, 11 პასი)
სიეტლი: ბიურანტი (16), პეტრო (12 ქულა, 10 მოხსნა)

დეტროიტი 82:83 ფილადელფია
დეტროიტი: ვოლესი (17), ბილაფსი (15), მაკდაიესი (14 ქულა, 11 მოხსნა)
ფილადელფია: იგუდალა (22), კარნი (16), ევანსი (12 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ ჯერსი 104:99 კლივლენდი
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24), ნახბარი (21), ჰარისი (19), კარტერი (14)
კლივლენდი: ჯეიმსი (42 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ბრაუნი (19)

მილუოკი 110:112 იუტა
მილუოკი: ვილანუევა (26), რედი (26), ბელი (24)
იუტა: უილიამსი (26 ქულა, 13 პასი), ბრიუერი (21), ბუზერი (20 ქულა, 11 მოხსნა), ოქური (19 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ ორლეანი 100:75 სან ანტონიო
ნიუ ორლეანი: ვესტი (29 ქულა, 10 მოხსნა), პოლი (26 ქულა, 17 პასი)
სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 11 მოხსნა), პარკერი (24)

დალასი 118:93 შარლოტი
დალასი: ნოვიცკი (26), ჰოვარდი (24), ბასი (16), დამპიერი (11 ქულა, 8 მოხსნა, 5 დაფარება)
შარლოტი: ჰელტონი (21), ვოლესი (14), კეროლი (14)

დენვერი 108:86 მემფისი
დენვერი: მარტინი (23), კლეიზა (19), ენტონი (14 ქულა, 13 მოხსნა)
მემფისი: ნავარო (16), მილერი (12), უორიკი (12), კარდინალი (12)

გოლდენ სტეიტი 117:106 ტორონტო
გოლდენ სტეიტი: ელისი (33), დევისი (23 ქულა, 15 პასი), ჯეკსონი (19), პიეტრუსი (14)
ტორონტო: ფორდი (23), პარკერი (22), ბარნანი (14)

ჰიუსტონის 20 გაელვება

რეკორდსი სამეულში და ისტორიაში შევიდა

1970-71 წლების სეზონი — „მილუოკი ბაქსი“;

1971-72 წლების სეზონი — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“...

ნბა-ს ისტორიის ახალი ფურცელი გუშინწინ დაიწერა — „ჰიუსტონ როკეტსი“ შეუერთდა ლიგის იმ უყოჩაღეს გუნდებს, რომლებსაც მიჯრით 20 და მეტი მოგება მოუპოვებიათ.

აქვე დავაზუსტოთ, რომ „ლეიკერსს“ 33 მოგება აქვს ზედიზედ მოხვეჭილი, ხოლო „მილუოკს“ და „ჰიუსტონს“ — 20-20.

„შეიძლება, ეს არ იყო ლამაზი გამარჯვება, მაგრამ ყველაზე გემრიელი კი გამოვიდა — თქვა ნამატჩევს ჰიუსტონელთა ტრიუმფატორმა მწვრთნელმა რიკ ადელმანმა — ჩვენ ეს შევძელით, გავუთანაბრდით „მილუოკი ბაქსის“ 1971 წელს მიღწეულ შედეგს“.

ტეხასელთა ეს ისტორიული გამარჯვება მართლაც არ იყო უწინდელებივით შთამბეჭდავი. ადელმანის გუნდმა მოგება რთულ, შეუხედავ და შეცდომებით აღსავსე მატჩში გამოაძრო, მაგრამ წლების შემდეგ წაუგებელ სერიებზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, არავინ გაიხსენებს, „ჰიუსტონმა“ მე-20 გამარჯვებისას „ატლანტას“ თამაშიდან მხოლოდ სროლათა მესამედი ჩაუგდო.

ტრეისი მაკგრეიდიმ, რაფერ ელსტონმა, შეინ ბეტიემ, ლუის სკოლამ და „ჰიუსტონის“ გამარჯვების დანარჩენმა შემოქმედებმა ზომაზე მეტი ბურთი ააცილეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტოქესაც უფრო მეტი შეცდომა დააშვებინეს.

„ძალიან გახარებულები ვართ, რადგან საზიზღარი პირველი ტაიმის შემდეგ მობილიზება მოვახერხეთ და უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მივაღწიეთ — თქვა ტრეისი მაკგრეიდიმ — ჩვენ ვერ ვესროდით ზუსტად და ეს შემთხვევაა, როცა დაცვამ გადაგვარჩინა. დაუჯერებელია, რომ ჩვენ ასეთ კონკურენტუნარიან გარემოში მიყოლებით 20 გამარჯვება მოვიპოვეთ. ვამაყობ, ასეთი წარმატებული გუნდის წევრი რომ ვარ. „ჩიკაგო ბულსმა“ ერთ სეზონში 82-დან 70 მატჩი მოიგო, მაგრამ ამ ლეგენდარულმა გუნდმაც კი ვერ მოახერხა მიჯრით 20 გამარჯვება“.

არადა, ჰიუსტონელებს ნაღდად არ ჰყავთ ისეთი შემაღგენლობა, რომ ამხელა რეკორდს გამოჭედებოდნენ, მაგრამ თამაშ-თამაშით ისეთ ეშხში შევიდნენ, ისე საოცრად ააწყვეს საქმე, რომ ყველა გააოცეს. ადელმანის გუნდმა ბოლო 7 მატჩი ერთ-ერთი ლიდერის, სეზონის ბოლომდე დამტვრეული თათ მინის გარეშე მოიგო. მოგვიანებით ტეხასელებს კიდევ ერთი ეოჩაღი მეფარე, კარლ ლენდრი დაუშავდათ, მაგრამ თავი მაინც ყინჩად უჭირავთ. მაკგრეიდის გვერდით ამოუდგა რიგითი, თუმც უკვე გავარსკვლავების ხღვარზე მიმდგარი რაფერ ელსტონი და ლამის სარკოფაგიდან ამოღებული დიკემბე მუტომბოც კი ყოჩაღობს.

ატლანტელებს ვერ უშველა ვერც ჯო ჯონსონის 28 ქულამ და ვერც ჯოშ სმიტის 22-მა მოხსნამ. „ქორები“ დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ქულას აგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტი მონაკვეთი „ჰიუსტონმა“ 10:0 მოიგო, რაც ამ გმირი გუნდის ლიდერის, ტრეისი მაკგრეიდის დამსახურებაა.

ზაზა ფაჩულიასაც მიეცა ამ ისტორიულ მატჩში თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ქართველმა ცენტრმა დიდი ვერაფერი გააკეთა — 10 წუთში ზაზამ 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, რასაც 3 მოხსნა მიაყოლა და ასე დაასრულა მისი გუნდისთვის მორიგი წარუმატებელი, ხოლო „ჰიუსტონისთვის“ ისტორიაში შემსვლელი მატჩი.

ირაკლი პერტაია

კოკაიც კარგია და ტოჩინოშინიც



ტოჩინოშინი მარტის ბაშოზე უძლეველია

სეზონის მეორე ოსაკას ბაშოს მესამედი უკვე მიცლია და ქართველი ჩუმოისტები ლევან ცაგურია და ლევან გორგაძე კვლავაც დაუძარცხებლად ძიიწევენ წინ.

გუშინ კოკად წოდებულმა ცაგურიამ, რომ იტყვიან, ცალი ხელით დასცა ძირს 34 წლის ტოჩინონადა და ამ უკანასკნელს ზედიზედ მეხუთე მარცხი აგება.

უმაღლეს დივიზიონ მაკუჩიში კოკაის დარად, ხუთ ორთაბრძოლაში ხუთი მოგება აქვთ მონღოლ იოკოძუნა ასასორიუს და რიგით მეგაშირებს — ჰოკუტორიკის, ტოჩიომანს და ჰომასიუს. ლიდერთა ხუთეულს კვალში ოთხ-ოთხი მოგებით მეორე მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო, ოძეკები — კაიო, ტიოტაიკაი და რიგითი მაგაშირები — ასასეკირიუ, ბალტი, ტაკამისაკარი, კაკიძეე და ოცუკასა უდგანან.

დღეს შეჯიბრის მეექვსე ტურია და კოკაი აღმოსავლეთის მეოთხე მაგაშირა ვაკანოჰოს დაეჭიდება, ვის აქტივშიც ორი მოგება და სამი მარცხია.

ძურიოს დივიზიონში ლიდერთა ტრიო ორეულამდე შემცირდა. ოთხი დღის შემდეგ ოთხ-ოთხი მოგება ჰქონდათ ტოჩინოშინად წოდებულ გორგაძეს, კიმურაიამას და ტოსანოუმის. ამათგან, გუშინ კიმურაიამა სამმოგებიან კიტაკისთან დამარცხდა, ხოლო ტოჩინოშინმა და ტოსანოუმიმ იმარჯვეს. 20 წლის ქართველმა ჰოიიამა გადააგდო დოჰიოდან, ხოლო 38 წლის ექსსეკივაკე ტოსანოუმიმ ჰაკუბა დაჯაბნა.

დღეს ტოჩინოშინი ყოფილ სეკივაკე ტამანოსიმას დაეჭიდება, ვისაც ამ დროისთვის სამი გამარჯვება აქვს.

კახა ლომაძე



ბაფანი ავდელაძის ფოტო

რამაზ ნოზაძე ნაკრებს დაუბრუნდა

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაკეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში აგრძელებს. ბებერი კონტინენტის პირველობას ფინეთის ქალაქი ტამპერე აპრილის პირველ რიცხვებში უმასპინძლებს. ანტიკოსები მთელი დატვირთვით ვარჯიშობენ და ძირითადი აქცენტი ხალიჩაზე აქვთ გადატანილი. ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია ბიჭებს დღეში ორჯერ, ხანაც სამჯერ ავარჯიშებს. დიდი ხნის უქმობის მერე სრული დატვირთვით ემზადება მსოფლიოს ჩემპიონი რამაზ ნოზაძე, ვინც ამას წინათ უნგრეთში გამართული მსოფლიოს თასი გამოტოვა. მაშინ ნოზაძეს მუხლი აწუხებდა.

ბეგი დარჩია საევროპე შემადგენლობას ერთ კვირაში ჩამოწერს. ნაკრები თბილისის შეკრების შემდეგ რამდენიმე დღეს დაისვენებს და დასკვნითი ვარჯიშებისთვის ბორჯომში წავა.

ლექსო მაისურაძე

ჰეკინელებს ტურინი ჩაუშვარდათ

ზურაბ ლულუაშვილის ფოტო

ქრისტინე ესებუა

იტალიის ქალაქ ტურინში მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. საქართველოს სახელით ევროპირველობაზე ჰეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტები, ქრისტინე ესებუა და ხათუნა ნარიმანიძე გამოვიდნენ. 32 მონაწილეს შორის ესებუა 24-ე, ხოლო ნარიმანიძე 25-ე იყო. ესებუამ პირველი სერიის მერე 278 ქულა დააგროვა, მომდევნო სერიაში — 286, რაც ჯამში 564 გამოვიდა. მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა ნარიმანიძე და 562 დააგროვა. მან ჯერ 280, მერე 282 ქულა მოიხვეჭა. ევროპის ჩემპიონი მასპინძელი, ნატალია ვაალე

F1 Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

მანქანები და ადამიანები

პირველმა ფორმულამ ექვს ათეულს მიუკაკუნა

კვირას მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით ფორმულა 1-ის რიგით 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. 11 გუნდის 22 სუპერპილოტი 18-ეტაპიან მარათონულ გზას გაუყვება.

„სამეფო რბოლები" ავტოსპორტის მწვერვალია, ყველაზე პრესტიჟული სახეობაა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს სისწრაფისა და რისკის მოყვარულ ათობით მილიონ მაყურებელს ავტოდრომების ტრიბუნებზე და ტელეეკრანებთან.

„სამეფო რბოლები" ჩინებულად დადგმული სპექტაკლი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი შოუა. საბრძოლო აგრეგატი — ბოლიდი წარმოადგენს ურთულეს და ზესწრაფ, უმაღლეს ტექნოლოგიურ დონეზე შესრულებულ მექანიზმს.

ერთი სპეციალისტის მოსწრებული გამოთქმით, ეს ჯერ კიდევ არაა რაკეტა, ოლონდ უკვე ვერტმფრენია. მართლაც, სხვა რა შეიძლება ითქვას თითქმის 800 ცხენისძალიანი სიმძლავრის იმ სუპერმანქანაზე, რომელიც საათში 360 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს...



ფორმულის დაბადება

საპირველფორმულო ჩემპიონატები 1950 წლიდან ტარდება, თუმცა ერთადგილიანი, ღია ავტოებით რბოლები მეორე მსოფლიო ომამდეც მეტად პოპულარული იყო და რეგულარულად იმართებოდა ევროპისა და ამერიკის ტრასებზე.

ის-ის იყო, ომი დასრულდა და უკვე 1945 წლის 9 სექტემბერს პარიზის მახლობლად ბულონის ტყეში პირველი რბოლა შედგა, რომელიც ფაშისტების მიერ ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში წამებული ფრანგი მრბოლის რობერ ბენუას ხსოვნას მიეძღვნა. იმ წელს მხოლოდ ის ერთი ეტაპი გაიმართა, მომდევნოში კი ერთბაშად 15 — იტალიაში, ესპანეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში დაბომბვისგან გადარჩენილ ტრასებზე. სტარტზე უშვებდნენ ნებისმიერი სიმძლავრის მანქანებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

იმავდროულად აღდგენილ „სრულუფლებიანი საავტომობილო კლუბების საერთაშორისო ასოციაციის" (AIACP) ეს გრძელი და მძიმე დასახელება უფრო ლაკონიური და გასაგები გახდა — საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (FIA).

1947 წლის ოქტომბერში პარიზის საერთაშორისო ავტოსალონის დროს ფედერაციის სპორტული კომისია სამომავლო საქმიანობის განსასაზღვრავად შეიკრიბა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღო: სარბოლო ავტოები სიმძლავრის მიხედვით A და B კლასებად დაიყო, მერე ასოები ციფრებით შეიცვალა. ფორმულა 1-ში გაერთიანდა იმ ტიპის მანქანები, რომელთა ძრავის მუშა მოცულობა არ აღემატებოდა 4,5 ლიტრს, კომპრესორიანი ტურბოძრავებისა კი 1,5-ს. ფორმულა 2-ის პარამეტრები, შესაბამისად 2,0 და 0,5 ლიტრი იყო.

ახალი თაობის სარბოლო კატეგორიას „ფორმულა 1-ის გრან პრი" დაერქვა. პირველი მერცხალი გახდა სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქ პოს გრან პრი, რომელიც 1948 წლის 29 მარტს ჩატარდა და 321-კილომეტრიანი რბოლა იტალიელმა ნელო პაგანიმ („მასერატი") მოიგო. მსოფლიოს ჩემპიონატებამდე სულ 37 ეტაპი გაიმართა, რომელთაგან თითქმის ნახევარი მომავალმა გვირგვინოსნებმა, არგენტინელმა ხუან მანუელ ფანხიომ (7), იტალიელებმა ალბერტო ასკარიმ (4) და ჯუზეპე ფარინამ (4) მოიგეს. ამ გაჯიბრებების პოპულარობისა და პრესტიჟულობის მიუხედავად, ჯერ არავითარი მწყობრი სისტემა არ არსებობდა, ქულების დარიცხვა არ ხდებოდა და ოფიციალური ტურნირის სტატუსიც არ ჰქონდათ.

1949 წელს FIA-ს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა იტალიის ავტოკლუბის წინადადებას, რომელიც ექსმრბოლმა, გრაფმა ანტონიო ბრივიო-სფორცამ წარადგინა და მომდევნო წლიდან ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო.

პირველი ნაბიჯები

ფორმულა 1-მა 1950 წელს ლონდონიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ სილვერსტოუნის ავტოდრომზე აიდგა ფეხი. 13 მაისს, მზიან შაბათ დღეს, ძველი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი — დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი — შედგა. FIA-მ სადებიუტო სეზონის კალენდარში კიდევ 6 რბოლა კი ჩართო, მაგრამ აშშ-ის საკულტო ინდიანაპოლისის 500-მილიანი მარათონი მხოლოდ სიმბოლურად შეყიდა „სამეფო" რეესტრში, რადგან ევროპელები ოკეანისგაღმა განსხვავებული ტიპის ავტოებთან გასაჯიბრებლად წასვლაზე არც ფიქრობდნენ, ისევე, როგორც იანკები ბებერ კონტინენტზე ვოიაჟს.

ომმა თითქმის ათეული წლით მოშალა ნორმალური ცხოვრება. რბოლებისთვისაც, ცხადია, არავის ეცალა. ამიტომაც იმ პირველ ჩემპიონატში უმეტესად ხანდაზმული, „წინა თაობის" მძღოლები ჩაებნენ. ყველაზე ასაკოვანი იყო 53 წლის ფრანგი ფილიპ ეტანსელინი. მის გარდა კიდევ სამნი იყვნენ ნახევარ საუკუნეს გადაცილებულები.

დღევანდელი გადასახედიდან იმდროინდელ ფორმულაში პრაქტიკულად ყველაფერი უჩვეულო გახლდათ. უზარმაზარი ძრავა მანქანის წინა ნაწილში, მრბოლის ფეხებთან იდო და ახლანდელზე (2,4 ლიტრი) ორჯერ მეტი მუშა მოცულობის მიუხედავად, ორჯერ ნაკლებ სიმძლავრეს, მხოლოდ 350-370 ცხენის ძალას ავითარებდა. მძღოლი მნელად სატრიალებელ საჭესთან ჩაფრენილი, გამართული იჯდა, ახლა კი კოკპიტში ლამის ჩაწოლილები არიან აეროდინამიკურად მომგებიანობის თვალსაზრისით.

ის საწყისი, 50-იანი წლები სწორედ რომ გმირების პერიოდი იყო, რადგან მრბოლთა უსაფრთხოების დაცვის მინიმალური პირობებიც კი არ არსებობდა. მძღოლებს არც ჩაფხუტები ეხურათ და არც ცეცხლგამძლე კომბინიზონები ეცვათ, ხოლო ტრასიდან გავარდნილი მანქანების „დამჭერის" ფუნქციას თივის შეკვრები ასრულებდა.

ეს ახლაა, რომ ყოველ საჯინიბოს მხოლოდ ორი მრბოლ-ბოლიდის გამოყვანის უფლება აქვს, წინათ კი — რამდენიც სურდათ. ასე მაგალითად, 1950 წელს ბელგიის დიდი პრიზისთვის მებრძოლ 14 მრბოლთაგან შვიდი „ტელბოტ-ლაგოს" წარმოადგენდა. მაგრამ მათ რაოდენობა ხარისხში ვერ გამოხატეს, ფინიშთან ყველაზე ადრე ფანხიოს „ალფა-რომეო" მიიჭრა.

სარბოლო დისტანცია ზოგჯერ 500 კილომეტრსაც აღწევდა. სარეკორდოდ ხანგრძლივი იყო 1954 წლის გერმანული ეტაპი: ნიურბურგის 23-კილომეტრიან ჯოჯოხეთურ წრეებზე გამარჯვებისთვის ლეგენდარულმა „მაესტრო" ფანხიომ „მერსედესით" სამი საათი და 45 წუთი იწვალა.

ნახევარი საუკუნის წინათ საჯირითო მანძილი 300 კილომეტრამდე შეიკვეცა, ხოლო ტრასაზე ყოფნის დრო ორი საათით შემოისაზღვრა.

რბოლაში მხოლოდ პირველი ხუთეული იღებდა ჩასათვლელ ქულებს, — 8, 6, 4, 3, 2, ერთი ქულაც უსწრაფესი წრის ავტორის ჯილდო იყო.

ბუნებრივია, უხარისხო გზებზე დიდხანს ჯაყჯაყი დამქანცველი იყო. ამდენად, არცთუ იშვიათად, მძღოლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და საერთო ძალისხმევით მოპოვებულ ქულებსაც ძმურად იყოფდნენ. 1955 წელს არგენტინის გრან პრიზე ერთ „ფერარის" მიყოლებით მართავდნენ ჯუზეპე ფარინა, უმბერტო მალიოლი და მორის ტრენტინიანი. ერთობლივი ძალით მათ მანქანა ფინიშთან მესამე მიიყვანეს და საამისო ოთხი ქულაც თანაბრად გაიყვეს — თითოეულს 1,33 ქულა ერგო.

ზესაპატიო, პირველი ჩემპიონის ტიტული 44 წლის იტალიელმა „დოქტორმა" ჯუზეპე ნინო ფარინამ („ალფა რომეო") მოიპოვა. იგი საფორმულო ისტორიაში ყველაზე განათლებული ჩემპიონია — 1928 წელს დაამთავრა ტურინის უნივერსიტეტი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით.

ჯოჯოხეთური წლები

მძიმე სარბოლო პირობებში თითქმის ყოველწლიურად იღუპებოდა ვინმე, ზოგჯერ ორი-სამი მძღოლიც კი. 1950-70-იან, ამ მხრივ უსაშინლეს პერიოდში, დაიღუპა 33 მრბოლი და 36 მაყურებელი.

ყველაზე ტრაგიკული გამოდგა 1960 წლის ბელგიის გრან პრი. სპაფრანკორშამის კოშმარს ორი ინგლისელი ახალგაზრდა ემსხვერპლა. რბოლის შუა დისტანციაზე, მეოცე წრეზე, 22 წლის კრის ბრისტოუს „კუპერი" ვილი მაიერსის „ფერარისთან" შეჯახების შემდეგ დამცავ ბარიერს ისე მიელეწა, რომ პილოტი ადგილზევე გარდაიცვალა. ათიოდე წუთის შემდეგ ალან სტეისის სახეში... ჩიტი [illegible] მრბოლმა გრძნობა [illegible] უმართავი „ლოტუსი" საშინელი ძალით ხეს შეენარცხა.

საბედნიეროდ, შემდგომში მძღოლთა დაცვის ისეთი ეფექტური ღონისძიებები განხორციელდა, რომ, როგორც FIA-ს ვიცე-პრეზიდენტმა ბერნი ეკლსტოუნმა ერთხელ აღნიშნა, ახლა იღუპებიან მანქანები და არა ადამიანები. ბოლო ორ ათწლეულში მხოლოდ ორი პილოტია დაღუპული. 1994 წელს იტალიაში, იმოლას ტრასაზე შავმა უიქენდმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ბრაზილიელ აირტონ სენას („უილიამსი") და ავსტრიელი დებიუტანტის, როლანდ რაცენბერგერის („სიმტეკი") სიცოცხლე შეიწირა.

„ჯადოქარ" სენას გარდა, ტრასების მსხვერპლთა გრძელ სიაში კიდევ სამი გვირგვინოსანია — ორგზის ტრიუმფატორები, იტალიელი ალბერტო ასკარი (1955) და შოტლანდიელი ჯიმ კლარკი (1968), აგრეთვე ავსტრიელ-გერმანელი იოხენ რინდტი. ეს უკანასკნელი 1970 წელს იტალიაში, მონცას „აუტოდრომო ნაციონალეზე", სეზონის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე აღესრულა, მაგრამ ქულათა ისეთი უპირატესობა ჰქონდა, რომ მის შემდეგ ვერავინ დაეწია. რინდტი ერთადერთი მრბოლია, ვინც ჩემპიონი გარდაცვალების შემდეგ გახდა.

ექვსი ბორბალი

„სამეფო რბოლების" 58 ჩემპიონატში ტიტული 29 პილოტმა მოიპოვა. ყველაზე მეტი — რვა გამარჯვებული ჰყავს დიდ ბრიტანეთს, მათ ჯამში 12-ჯერ იმარჯვეს. შემდეგ მოდიან ბრაზილია, ფინეთი — 3-3, ავსტრია, ავსტრალია, იტალია, აშშ — 2-2, გერმანია, არგენტინა, საფრანგეთი, ესპანეთი, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია — თითო ჩემპიონი.

საჯინიბოებს შორის ვეება უპირატესობით „სკუდერია ფერარი" ლიდერობს, რომელმაც 15-15-ჯერ მოიგო ჩემპიონობა როგორც მრბოლთა, ასევე გუნდურ, ანუ კონსტრუქტორთა ჩათვლაში [illegible] კონსტრუქტორთა თასს, რომელიც 1958 წელს დაწესდა, 12 მფლობელი ჰყავს.

აქვე ერთ უნიკალურ მანქანაზეც უნდა ითქვას. 1976-77 წლებში გუნდ „ტირელმა" ტრასებზე ექვსბორბლიანი ბოლიდი გაიყვანა. ოთხი წინა საბურავი ბევრად პატარა იყო უკანაებზე. რევოლუციური სიახლის იდეას წარმოადგენდა მანქანის ფრონტალური წინააღმდეგობის შემცირება, მაგრამ „ტირელ P34-ფორდმა" ვერ გაამართლა, 33 რბოლაში მხოლოდ ერთხელ მივიდა ფინიშთან პირველი.

გია ახალაძე

გუნდი	ქ/თასი	პირადი	რბოლა	მოგება	პოდიუმი	პოული	უ/წრე	ქულა
ფერარი	15	15	758	201	603	195	207	4753,27
უილიამსი	9	7	514	113	294	125	129	2549,5
მაკლარენი	8	11	630	156	418	133	134	3462,5
ლოტუსი	7	6	491	79	172	107	71	1514
ბრებემი	2	4	394	35	124	39	42	983
რენო	2	2	227	33	90	50	27	976
კუპერი	2	2	129	16	58	11	14	494,5
ტირელი	1	2	430	23	77	14	20	711
ბენეტონი	1	2	260	27	102	15	36	861,5
BRM	1	1	197	17	61	11	15	537,5
მატრა	1	1	62	9	21	4	12	184
ვანუოლი	1	—	28	9	13	7	6	108

ჟუსტინ ენინმა შარშანდელი გაიმეორა

წლის „პირველი მასტერსების დროც მოვიდა — მარტის დარჩენილი ნაწილი მთლიანად ამ სერიის ორ ტურნირს, კალიფორნიულ ინდიან უელსსა და მაიამისთან მდებარე კი ბისკეინს დაეთმობა, სადაც მსოფლიოს ყველა საუკეთესო მეჩოგნე მოიყრის თავს. მართალია, WTA-ს მასტერსის ტურნირები არა აქვს, მაგრამ კაცების დარად ქალებიც ითამაშებენ აშშ-ს ამ ორ მზიან შტატში და აქაც ყველა ბობოლას უნდა ველოდოთ.

ინდიან უელსში კაცები ჯერ უქმად არიან — იქ ჯერ საკვალიფიკაციო ტურნირი მიმდინარეობს და სათამაშო ბადეც საბოლოო სახეს დღეს ან ხვალ მიიღებს. სამაგიეროდ, ქალებმა დაიწყეს და პირველი წრის რამდენიმე შეხვედრაც გამართეს, თუმცა როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბობოლები კორტზე ჯერ არ გასულან და მათ საქმეში მხოლოდ მეორე წრიდან ვიხილავთ.

თუმც ტურნირის მთავარი ამბავი არა კორტზე, არამედ მის მიღმა მოხდა — კერძოდ, ინდიან უელსში ჩასვლაზე უარი განაცხადა ჟუსტინ ენინმა. ჭინკა ბელგიელს არც ტრავმა აწუხებს და არც ავადმყოფობა, მაგრამ კალიფორნიაში თამაშს მაინც მოერიდა. ისე, ბელგიელი შარშანაც ამდაგვარად მოიქცა და მხოლოდ კი ბისკეინში ითამაშა — ამან გაამართლა კიდეც და ჟუსტინმა ფლორიდაში იპირველა. ჰოდა, ეტყობა, ენინი წლეულსაც მოერიდა ზედმეტ გადატვირთვას და ისევ მხოლოდ ერთ ტურნირზე ითამაშებს.

უკვე მომხდარი ამბებიდან კი საუკეთესო 50-ში სულ ახლახან აღზევებული ორი მეჩოგნის — ჩინელი ძი იანისა და დანიელი კაროლინ ვოზნიაკის თამაშებით დავიწყებთ. წინა კვირას ბანგალორის ნახევარფინალში გასული აზიელი, რომელიც დღეისთვის კარიერის უმაღლეს, 43-ე საფეხურზე დგას, თინეიჯერ ურსულა რადვანსკას შეხვდა და პოლონელს ძლივს გადაურჩა — რადვანსკამ პირველი სეტი მოიგო, მაგრამ მერე ან კალიფორნიის თაკარა მზეს ვერ გაუძლო, ანაც ძალიან ანერვიულდა, მატჩის დარჩენილი ნაწილი სრულიად უკბილოდ ჩაატარა და წინ ჩინელი გაატარა, 2:6 6:0 6:2. იანმა კი ამ მოგებით თანამემამულე ნა ლისთან რანდევუ გაინაღდა.

აი, ვოზნიაკის ნაკლები პრობლემები ჰქონდა უნგრელ მელინდა ცინკთან. ქალთა ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა მეტოქე ორ სეტში მიჩოგნა 6:2 7:6 და ახლა ტურნირზე მე-18 ნომრად განთესილ მარია კირილენკოს შეხვდება.

საკმაოდ მოულოდნელად, ახალგაზრდა უკრაინელმა მარია კორიცევამ გამოცდილ ფრანგ ნატალი დეშის სეტიც კი არ დაუთმო — 6:1 6:4. უკრაინელი მეორე წრეში ზემოთ ნახსენებ ურსულა რადვანსკას უფროს დას, აგნეშკას შეხვდება.

თავისი მომავალი მეტოქის ვინაობა გაიგო ტურნირის ალბათ უმთავრესმა ფავორიტმა მარია შარაპოვამ. რუს პრიმას, რომელსაც წლეულს დამარცხების სიმწარე ჯერ არ უგემია, ფრანგ სტეფანი კოენ-ალოროსთან მოუწევს დატაკება, რომელმაც თავის მხრივ სასტიკად გადაურბინა მასპინძელ ლილია ოსტრლოჰს და მხოლოდ სამი გეიმი აალებინა — 6:1 6:2. შარაპოვა კი, რომელიც ყველანაირ ავადმყოფობას მოერია და არანაირი ტრავმა აღარ აწუხებს, ინდიან უელსში მხოლოდ მოსაგებად არის ჩასული და ამას არც მალავს.

ელენა იანკოვიჩი კალიფორნიაში ყველაფერთან ერთად მწვრთნელსაც ეძებს. სერბი ახლა პეტ ეჩებერისთან ემზადება, მაგრამ ეს მხოლოდ ფიზმომზადების მწვრთნელი ყოფილა — იანკოვიჩს კი ისეთი ვინმე სჭირდება, ვინც მას ხეირიან ტაქტიკურ დარიგებებს მისცემს:

„არჩევანი მართლაც დიდია. ისე, უარი ჯერ არავის უთქვამს და მე არჩევანიღა დამრჩა გასაკეთებელი“ — განაცხადა სერბმა.

ქახა ლომაშვილი

როდიკის ამერიკული უარი პეკინს

ენდი როდიკმა გუშინ გვარიან შოკში ჩააგდო მთელი საჩოგბურთო სამყარო — ამერიკელმა, რომელიც, განსაკუთრებული ექსცენტრიულობით აქამდე არასოდეს გამოირჩეოდა, განაცხადა, ოლიმპიადაზე თამაშს არ ვაპირებ, რადგანაც ჩემთვის საყვარელ აშშ-ს ღია პირველობისთვის უნდა მოვემზადოო.

იანკის ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად გასაკვირია, რადგანაც ოლიმპიადის მოგება ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის ერთ-ერთ მწვერვალად ითვლება. ამისთვის თუნდაც იმავე როჯერ ფედერერს დავიმოწმებთ, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონობა კარგა ხანი ოცნებად აქვს და არაერთხელ უთქვამს, ოლიმპიურ ოქროს ჩემს ნებისმიერ ტიტულზე გავცვლიდიო.

თუმც როდიკი სულ სხვა განწყობაზეა. ენდი-ბიჭი აზიაში გადაფრენას სამშობლოში დარჩენასა და ოლიმპიადის პარალელურად ვაშინგტონში გასამართ ტურნირზე თამაშს არჩევს:

„ყოველწლიურად ჩემი უმთავრესი მიზანი აშშ-ს ღია პირველობაზე გამარჯვებაა. ხოლო რადგანაც ეს სლემტურნირი ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ორ კვირაში იწყება, იმ სიშორეზე გადაფრენა ტურნირისთვის მომზადებაში ხელს მაგრად შემიშლის, ამიტომაც პეკინში წასვლას არ ვაპირებ“ — განაცხადა როდიკმა.

ქახა ლომაშვილი


ოქსანა კალაშნიკოვა

ორნი ეგვიპტეში

ეგვიპტის მთავარქალაქ კაიროს თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში ორი ქართველია — მანანა შაფაქიძე და ოქსანა კალაშნიკოვა.

ჩვენებურები, შესაბამისად, მე-6 და მე-8 ნომრებად არიან განთესილები. მანანამაც და ოქსანამაც წარმატებით დაიწყეს ეგვიპტურ ტურნეზე თამაში. შაფაქიძემ პირველ წრეში 6:1 6:0 გაანადგურა შეჯიბრში „ვაილდ ქარდით“, ანუ ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე 21 წლისა და ურეიტინგო მასპინძელი მეგი აზიზი, ხოლო კალაშნიკოვამ დაძაბულ ბრძოლაში 4:6 6:3 7:5 აჯობა 23 წლის რუს გალინა ფოკინას, ვინც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 690-ე ადგილზე იმყოფება, ხოლო კარიერის უმაღლეს, 168-ე პოზიციაზე 2002 წელს იყო.

მეორე წრეში შაფაქიძე კლასიფიკაციაში 665-ე საფეხურზე მყოფ 17 წლის სლოვენიელ ჟასმინა კაიტაზოვიჩს შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში 4:6 6:2 6:4 სძლია რუმინელ ირინა-კამელია ბეგუს. კალაშნიკოვას მეტოქე კი კვალიფიკაციიდან წამოსული ურეიტინგო რუმინელი ვერონიკა პოპოვიჩი იქნება. ამ უკანასკნელმა პირველ შეხვედრაში რუს ავგუსტა ციბიშევას 3:6 6:2 6:3 მოუგო.

ამბერის ტურნირი. ნიცა, საფრანგეთი. 14 - 28 მარტი

დაიხუჭეთ და სწრაფად ითამაშეთ

ნიცაში ამბერის მე-17 ტურნირი იწყება. შეჯიბრი საინტერესო ფორმატით იმართება, დიდოსტატები ერთმანეთს ჯერ დაფაზე დაუხედავ ჭადრაკს ეთამაშებიან, შემდეგ კი სწრაფს.

ფიდეს ტურნირის შედეგები რეიტინგში არ შეაქვს, თუმცა ამის მიუხედავად, გათამაშებას ვარსკვლავები არ აკლია და საპრიზო ფონდიც სოლიდური, 216 ათასი ევრო აქვს. ამბერის გათამაშება მსოფლიოს მე-5 ჩემპიონის, ჰოლანდიელი მაქს ეივეს ინიციატივით დაარსდა, სპონსორი კი ცნობილი მეცენატი ვან ოსტერომია.

წლევანდელ ტურნირში 12 მოჭადრაკე მონაწილეობს: ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, რუსები ვლადიმირ კრამნიკი და ალექსანდრ მოროზევიჩი, აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი, უნგრელი პეტერ ლეკო, უკრაინელები ვასილ ივანჩუკი და სერგეი კარიაკინი, სომეხი ლევონ არონიანი, ებრაელი ბორის გელფანდი, ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი და ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი.

ტურნირის ფავორიტი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ანანდია. ინდუსმა ვეიკ ან ზეეში მესამე ადგილი დაიკავა, მორელია-ლინარესში კი ერთპიროვნულად მოიგო და ნიცაშიც დიდ გულზე ჩადის, თანაც მას სწრაფ ჭადრაკში ბადალი არ ჰყავს და სათამაშო ფორმასაც არ უჩივის. ოქტომბერში ანანდს ვლადიმირ კრამნიკთან მატჩ-რევანში ელის და მანამდე ძალებს აქ გამოცდის. „ნიცაში თამაში მიხარია, რადგანაც აქ კრამნიკს ვნახავ და კიდევ ერთხელ შევეჯიბრები. ამ ტურნირის მერე კი სერიოზულად მოვემზადები და ოქტომბრისთვის უკეთეს ფორმაშიც ვიქნები“ — განაცხადა ინდუსმა.

შარშანდელი გამარჯვებული კრამნიკი ნიცაში დასვენებული ჩადის. მან მორელია-ლინარესში არ ითამაშა, რის გამოც ფიდეს რეიტინგში პირველი ადგილი დაკარგა. კრამნიკი „ბრმა“ ჭადრაკში ძლიერია და ქულების მოხვეჭასაც უფრო აქ შეეცდება.

საოცარ ფორმაშია 17 წლის მაგნუს კარლსენი. ნორვეგიელმა დიდოსტატმა ვეიკ ან ზეე მოიგო, მორელია-ლინარესში კი მეორეზე გავიდა და ანანდს სულ რაღაც ნახევარი ქულით ჩამორჩა.

„რამდენიმე თვის წინ, მოსკოვში, მიხაელ ტალის მემორიალზე კარლსენმა ვერც ერთ ბობოლას ვერ მოუგო, შემდეგ ვეიკ ან ზეეში და ლინარესში ხუთ-ხუთჯერ იმარჯვა. პროგრესი სახეზეა, მას როგორც ბავშვს აღარ ვუყურებ და უკვე სერიოზულ მეტოქედ მიმაჩნია“ — დასძინა ანანდმა.

ლაშა გეგეჭკორი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge